


1908



1908

## შინაარსი

### ურნალ „ჯეჯილისა“

I	სურათი—საოცარი ბუნება.	2
II	პატარა თამრო (ლექსი) ქანცია . . . . .	3
III	მიმინო და მამალი იგავი ლევ. ტოლსტოისა . . . . .	5
IV	„ქარის მაშანა“ მოგონება. ნ. ენგებიძესი . . . . .	6
V	საავაღმყოფოში ფრანგული ეპ. შესხისა . . . . .	10
VI	ზარმაცების მომრჯულებელით ზღაპარი ჩაწერილი ნ. ენგებიძე მიერ . . . . .	17
VII	კვეხარა დავცეცხლი ამბავი თეოდოროვ—დავიდოვისა (თარგმანი) ან. წერეთლისა . . . . .	21
VIII	ტყუილს ტყუილი მოსდევს ფრანგულით დასასრული ან. წერეთლისა . . . . .	26
IX	გვალვა—ლეგენდა ლექსად ჯავახეთში გაგონილი და ჩაწ. ილ. ალხაზიშვილის მიერ . . . . .	35
X	„კიბუნ-დეიზინ“ მოთხრობა იიბონის განთქმულ მწერლისა ჯენზეი მურაისა. თარგ. ალ. ნათაძისა . . . . .	40
XI	ტორფი და ქვა-ნახშირი ეფ. ჭ—სა. . . . .	49
XII	სახელმწიფო წყობილება ინგლისში ი. გომართლისა .	52
XIII	ბუნების ლექსიკონი, შედგენილი ილია ალხაზიშვილის მიერ. . . . .	41

## — ჯიჯილის რედაქცია —

უმორჩილესათა სთხოვს ხელის მომწერლებს დროზე  
მოაწოდონ ურნალს ხვედრი ფული.



# საქართველო ნახატებიანი შურნალი

იზარდე, მწვანე ჯეჯილო  
დაპურდი, გახდი ყანაო!..

ი. ლ.

№ VI

ივნისი, 1908

სალიდალი გეცხახვეთი

“ფილისი”  
ელექტროშეჭრავი ამს. „შრომა“, რუსსკაია ქუჩა, № 3.  
1908

သန္တန္တရာဝတီ ပျော်ဂျာ



# კატარა თამრო.

(ვუძღვით თამრიგოს)



თუ გუგრს დარდი გაი-  
ქარგო,  
ან და გულით გაიხარო,  
უნდა ნახო და გაიცნო  
ჰაწაწინა ჩვენი თამრო.

—  
ეს კი არის: ვერა ნახავ  
ერთ აღგილზე იჯდეს  
წენარად:

მთელ დღეს დარბის, დაცუნცულებს  
თვის დედმამის გასახარად.

—  
სათ ბებიას ესტუმრება,  
დაუმალავს წინდის ჩხირების;  
ან მოსტაცებს მოსუცებულს  
ატმისა და ლეღვის ჩირებს;

—  
სან მამასთან შეიჭრება,  
გამოიტანს მის სათვალებს,  
ვითომ გაზეთს კითხულობს და  
ემძკურად ბრეცამს თვალებს.

—  
მერე ლექსებს გეტების, მხოლოდ  
ქარგად უნდა უურის გდება,



თორებ უცებ შესწევეტავს და  
გულანატკენი გაგმორდება.

ბევრი იცის ზღაპრებიცა:  
წითელ ქუდა, ჩიტი, მელა...  
მთელ საღამოს იტიკტიკებს  
თუ გსურს ჩვენი ცუგრუმელა...

მაგრამ როცა დაღამდება,  
დაიბუდებს ეველა ჩიტი,  
დედის კალთას ძიაშურებს  
მოქანცული თამროც ცქვიტი...

დაიძინებს, რომ ხვალიდან  
პვლავ დაიწეოს ცელქი რბენა,  
პვლავ იხტუნოს, იგისკისოს,  
ატიკტიკოს თავის ენა...

ეველას უევარს, ეველასა სურს  
გაიზარდოს, გაიზაროს...  
ეველა ლოცავს წრფელის გულით  
ნაწაწინა ჩვენსა თამროს.

ქოჩო..



# მიმინო და მამალი.



იგავი ლევ ტოლსტოისა.

იმინო პატრონს შეჩვეული ჰქავდა,  
 ოოგიარც კი დაუძასებდა ის მაშინასე  
 მხარზე შეაჯდებოდა, მამალი კი პა-  
 ტრონს გაურბოდა და თუ პატრონი  
 ახლოს მივიდოდა იწევებდა საშინელ ეივილს.

ერთხელ მიმინომ უთხრა მამალს:

— თქვენ, მამლებს, არა გცოდნიათ მაღლობის  
 გადახდა, უმაღლები ხართ, გეტეობათ კაი ჯიშისა არა  
 ეოფილხართ. თქვენ როცა გმიანთ, ხოლო მაშინ მირ-  
 ბიხართ პატრონთან. ჩვენი, გარეული ფრინვლების, სა-  
 ქმე სულ ხხვაა. ძალ-ღონე ხხვებზე მეტი გვაქვს, ფრე-  
 ნაშიაც ეგელას ვჯობივართ, მაგრამ მაინც ადამიანებს  
 არ გაურბივართ: როდესაც დაგვიძახებენ მხარზედაც  
 შეგაჯდებით, ამათი პურ-მარილი არ გვავიწერება, ვი-  
 ცით რომ ჩვენი მრჩენელნი არიან.

ამაზე მამალმა უპასუხა:

— თქვენ არ გაურბიხართ ადამიანებს, რაღანაც  
 არას დროს არ გინახავთ შემწვარი მიმინო, ჩვენ-კი,  
 ეოველ წამს, ვხედავთ შემწვარ მამლებს.

დასთ.



## „ქარის მაშინა“



(ბაგშობის მთვარი).

ემოდგომაა. მინდორ-კელი და ცარიელებულია მოლად. მხოლოდ ვენახებს-და გაუდით მწვანედ ბიბინი.

ერთ შშვენიერ დღეს, ხართა შვების დროს, ჩვეულებრივად

შევიკრიბენით ტოლ-ტოლი გოგობიჭება და გავეშურენით საუდრის გვერდისკენ ურმის საბოლაოდ. იქ, ნასახლარში, ქაფიაურიანთ დანჯდეული უთვლებო ურემი გვეგულებოდა. დიდხანს ვაბოლავეთ ეს დანჯდეული ურემი. უცბად ერთმა ჩვენმა ამხანაგთაგანმა თვალი შეასწორ ჩვენსკენ მოძავალს ურმის ჰატრონს, მოხუც დედაკაცს ქაფიაურს, რომელიც წევლა-კრულებით გამორბოდა. ჩვენ უველანი სწრაფად გადავხტით დობეს იქით და იქვე ჩავიკუნვენით.

— სად წავიდნენ ის ვასაწევეტები? ცამ ჩაულაპათუ დედამიწამ ასე უცბათ? თუ მე მამეჩვენენ მხოლოდ,



თვალებმა მომატეულეს? დამიღვა თვალები, მთლად უდიდესი ტერევიათ ხელნები იმ ჭირისაგან გასაწყვეტებს! აი ერთი მომესწორო, რომ დედამიწაზედ მეწყვეტებინი ისინი!

ამ სიცუკებით ბებური ისევ შინისკენ გაბრუნდა. ჩვენ კი ჩუმ-ჩუმათ ვიცინოდით. გაგვშორდა თუ არა მოხუცი დედაკაცი, ჩეენც წამოვიშალებით. ის იუ კიდეც უნდა წავსულიერავით ჩვენ—ჩვენს სახლებში, რომ ერთმა დაუდეგარმა ამხანაგმა სისარულით წამოიძახა: „იცით, რა მოვიგონე?“

— „რა, სიხარულითვე დავეცითხეთ უპელანი“. — „ხედავთ, ამ ღობის გვერდზე, ჰეტრიაანთ ურემს??

მაგარიც არის და თვლებიცა აქვს... ის თუ გაჯავონდა, ვეღარ ვიშოვეთ აი მეორე! ორნი უღელში შევებნეთ და ურთიც ზედ დაუსვათ და მაშინასავით გავაქანოთ. მეტს ვერ მოვერევით და თავშემ, გვერდაზე წავიჟვანთ, უფრო ადვილია. ვითომ გერისთუბას მივადივართ. მხოლოდ ამოვარჩიოთ ჰირველად ვინც უფრო ჸატივსაცემია და ის დაუსვათ“.

— „მღვდლიანთ ნუცაი, მღვდლიანთ ნუცა!“ ეპელამ ერთხმად წამოიძახეს ჩემზე.

„მეც დიდის დიდებით, თითქოს რამე დიდი თანამდებობა ერგუნებინოთ ჩემთვის, ამაუად ავბმანდი ურემზედ და უკანა კოფოზედ მოვთავსდი, თან ჭალებს მაგრათ მოვხვიე ორთავ ხელები. უღელში ორი ღონიერი ბიჭი შეაბეს. თვლებს საგორავები ააცალეს და ურემის დაძრა. მინამ ცოტა სწორე გზაზე მიდიოდა

ურემი, მისაროდა: გერისთობას მივაღ მეოქნა, მაგრამ  
აი დაქანდა დიდ გკერდაზე და ქარივით გაფრინდა უფ-  
სკრულისკენ. ურემში შებმული ბიჭები აქეთ-იქით გას-  
ტეორცნა. მე იხე დავიბენი შიძით, ოომ ძირს გად-  
მოხტომა ვეღარ მოვახერხე, თუმცა ურმის ბოლო, სა-  
დაც მე ვიჯაქი, ძალზე დაბლა იუო დაწეული, ურ-  
მის თავი კი მაღლა აშვერილი. დიდ გვერდასა და-  
ნაფუზვრებს შეა საურმე გზა იუო გაკეთებული. გზის  
ქვემო პირზე ასკილები და ნეკერჩხლის ბუჩქები ჩა-  
რიგებული. გაქანებული ურემი გზაზე ასკილის ბუჩ-  
ქებს გადაეკლო და მეც ერთი გუთნის გამლაზე გა-  
დამრჩეოცნა და პირქვე, ცხვირ-პირით გამნართხა დე-  
დამიწაზედ ნაფუზვარში. იმ ღროს, ოოდესხც ასკილებს  
დასჯახებოდა ურემი, მე უკან კოფოდვან წინ კოფო-  
ზე დავეხეთქებინე და სულ მთლად დამკაწროდა პირი-  
სახე და სელები ასკილებზე. ცხვირი კი მთლად გა-  
დამევლეფოდა მიწაზე დაცემის ღროს.

ურმიდგან თვალი შევასწარ ოოდობები მომავალ  
ორ კაცს, ოომლებმაც დამიძახეს: „ნუ გემინიან, ნუ  
გემინიანო“, და გამოექანენ ჩემსკენ სამკელად მაგ-  
რამ, ოოცა ისინი მოვიდნენ ჩემთან, გვიან-და იუო.  
მე უკვე დაბუილ-დაჩეჩქილი ვეგდე პირქვე გაშხლარ-  
თული. ჩამკიდეს სელი ორთავებ და შემომიუენეს გვერ-  
დას. მე მალზე დარეტიანებულსავით ლასლასით მოვ-  
დევდი.

საუდრის გვერდაზე რომ ამოვედით, დედაჩემი და




ჩვენები ჩემსკენ მოდიოდნენ. ბავშვებს შეეტყობინებდა  
ნათ ჩემი ამბავი. ღედამ, რო დამინახა ასე თავ-პილ  
დაკაწრული, ტირილი მორთო. იმის ტირილზე მეც  
ტირილი დავიწეუ; დაჯდა ძირს, ჩაძისვა კალთაში, ამოი-  
ლო კიბიდგან თრი თითო შაურიანი, გაათბო გოგოს  
მოტანილ ნაკვერჩხალზე და ცხვირზე დამიწეო ჭერა  
აქეთ-იქით, თან ტირილით მეკითხებოდა: „რა გინ-  
დოდა, შვილო, ურემზე? რაზე დაინტერიე ე ცხვირ-  
ჰირი? რადა ვქნა, რო ჩვენებიანთ ქუცასავით გაგა-  
ჭელიტოს ე ცხვირი? რადათ ძინდიხარ მაშინ? კით-  
ხვას კი ისვაზე მაძლევდა ტირილით ღედა ჩემი.

მე კი ტირილის მეტს გერაფერს ვახერსებდი, ისე  
მტკიოდა უკელაფერი. უკელას უკვირდა რომ ასეთი  
წუნარი სასიათის ბავშვი ვიუავ და ასეთი შემთხვევები  
კი ხშირათა მემართებოდა. წავედით სახლში. ჩვენები უკე-  
ლანი შეაწესა ამ ამბავმა. თან კი მასხარათ მივდებდნენ.

—როგორ იურ ქალბატონო, ქარის მაშინა! რომ  
გამართეთ! ხომ კარგათ იმოგზაურეთ? მოგვილო-  
ცავს „ქარის მაშინის“ ასტატობა.

ეხლაც, როცა კი მივალ ბიძა ჩემებთან, მოიგო-  
ნებენ ხოლმე და მკითხავენ: როგორ იურ, ნუცა?  
„ქარის მაშინით“ რომ მოგზაურობდით.

ნინო ენუქიძე.



# საავადმყოფოში

ფრანგულით.



სუთბაბათია. გილოს მამამ მუშა-  
ობას თავი დაანება და საავადმყო-  
ფოში თავის შვილის სანახავად წა-  
ვიდა.

საწეალი ბავშვი მაღიან სუსტათ  
არის, წეურვილი ჭკლავს. დოო გამოშვებით სიცხე-  
საგან გამმრალ ტუჩებს ბალახის გამონახარში წელით  
ისველებს. ხშირად იმის ღონეც კი არა აქვს, რომ  
ხელი გააწვდინოს ჭიქის ასაღებათ, რომელიც იქვე  
ლოვინის გვერდით ჰატარა მაგიდაზე სდგას. სისუ-  
სტისაგან გაუნმრევლივ წევს.

მამა რომ დაინახა, ბავშვს სახე გაუბრწევინდა.

— აბა ჩემო ბიჭიკო, როგორა ხარ დღეს? ჭკი-  
თხა მამამ.

— ლუდა, მაღიან ცუდათა ვარ! მე ვგრძნობ,  
რომ უნდა მოგვედე.

— მოკვდე, ჩემო საუკარელო, სთქვა ხელოსან-  
მა, — გულას რად მიკლავ, შვილო. მაგრამ რომ ნუ-  
გემი ეცა ბავშვისთვის, რომლის მორჩენის იმედი  
თითონაც არა ჭირდა დაუმატა: — მოკვდე კი არა, შენ-  
მა მომვლელმა და ექიმმა მითხოეს რომ ბევრად უკუ-  
თა ხარ.

— გკვდები! მე ვგრძნობ, — იმეორებდა ჩავალები ჩემთვის მამიკო, ერთი საიდუმლო უნდა გითხრა შენ.

— რა საიდუმლო?

— ის უაიდუმლო, ოომ ჩემი შეცდომა შევასწორო, მე კი ვერ მოვესწრები და შენ უნდა შევასწორო ჩემი დანაშაულობა.

— რა არის, შვილო?

— მას აქეთ რაც აქა ვწევარ არც დღე და არც დღამე ეს ამბავი მოსვენებას არ მამლევს. მთელი დღეები თავში მიტრიალებს, მთელი დამეები თვალწინ მიდგას.

— დამშვიდდი, შვილო, უთხრა მამამ, ოოდესაც ნახა რომ ბავშვი დელავს და სიცხისაგან თვალები ცეცხლივით ენთება.

— დავწენარდე! ოოგორ შემიძლია დავწენარდე, ოოდესაც ამისთანა საშინელი დანაშაული გულზე მამევს.

— დანაშაული?

— დიაღ, სამარცხვინო დანაშაული და ცოდვა... მე ქურდობა ჩავიდინე.

— ქურდობა? შენ!

— დიაღ, ქურდობა!

— ქურდობა! იმეორებდა გულნატკენი მამა. — ქურდობა... ვინ დაიჯერებს, რა გაჭირვება გადგა? ოოგორც შენ ამბობ, მე უნდა შევასწორო ის ცუდი.



საქმე, რომელიც ჩაგიდენია, მითხარი, რამდენიმე მოვალეობა მარე.

— რამდენი ფული?

— ჰო, რამდენი.—ოჭ, მაგას როგორ წარმოვის დგენდი, რომ ჩემი შვილი იქურდებდა. მითხარი რამდენი ფული მოიპარე რომ პატრონს გადაუხადო.

— რამდენი ფული! გაიმეორა ბავშვმა... არა, აქ ფულის საქმე არ არის. როგორ გაიტარე გულში რომ შენი შვილი ვისმეს ფულს მოჭპარავდა. არა, მაგრამ მე მაინც ქურდობა ჩავიდინე, გამოვგლიჯა ხელიდამ სხვას ის, რაც მისი საკუთრება იყო.

— მაშ რა იუო?

— ახლოს მოიწიე, მამა, და უური დამაგდე:

„ერთი თუ ორი თვეა, კარგათ არ მახსოვეს, სწორედ ჩემი ავადმყოფობის წინადღით სასწავლებელში ანგარიშის გაკვეთილი ბეჭონდა. ამოცანა მოგვცეს გასაკეთებლათ, აღარ მახსოვეს რა იუო, ეს კი მახსოვეს რომ ასჯერ მეტად დაგწერე და ვერ გამოვიცანი. ამოცანა დილით მოგვცეს და კლასის დაწებამდის უნდა გამოგვეცნო და წარგვედგინა. ჩემს გვერდით სიკო იჯდა, ის პატარა ბავშვი, რომელსაც შენც კარცად იცნობ და რომელიც ანგარიშში უკველთვის პირველ მოწაფეთ ითვლებოდა.

— ჰო, მერქ?

— იმისი პირველობა ძალიან მშურდა და მაბრაზებდა. შენ მე დამპირდი, რომ თუ პირველობას და-

ვიმსახურებდი ჩემს დიდი ხნის სასურველ ორ უკანონობისა ან ჯიბის დანას მასუქებდი.

— მარე რა, პირველობა დაიშახურე და დაპირებული საჩუქრიც მიიღე.

— მე ორივე მოვიპარე: დანაც და პირველობაც, სუქა გილომ სასოწაოკვეთილებით — მე ვეცადე, პატარა დასკენების შემდეგ გამოშეცნო ამოცანა, მაგრამ ვერ მოვახერხე, თითქო ტვინი დამეხმო, თელი რვეული დავჯდაბნე, მაგრამ ვერაფერი მოვახერხე. რამდენჯერ იმაზე მნელი და რთული ამოცანა გამიკეთებია, მაგრამ იმ დღეს რაღაც დამემართა. დასკენების დროს, დერეფანში შევედი, სასწავლო ოთახის კარები დაკეტილი იქნ. სარკმლიდან გადავძერი და ..

— და?

— ავიღე ფურცელი რომელზედაც სიკოს ამოცანა ჰქონდა დაწერილი...

— და გადასწერე?

— განა მარტო გადავწერე!

— მაშ?

— არა, თავის დღეში ვერ გავიყდავ ვსოქვა რა სისაძაგლეც ჩავიდინე.

— მაშ კარგი, ჩემო საუკარელო, ნუ იტევი, დაძვიდდი, უთხრა მამამ, როცა ნახა, რომ საცოდავი ბავშვი იტანჯებოდა.

— არა, უველავერი უნდა გითხრა, გააგრძელა ღონისძიება მიქანცულმა ბავშვება. მე არ მინდა ისე მოგემ-



დე, რომ ჩემი ჩადენილი სისამაგლე თან უნდა მისამართოს  
ჩამევვეს.

— სისამაგლე, ჩემო შვილო!

— დიაღ, სისამაგლე, სიავაზაკე, მინდა უთუოდ  
რათიც კი შემემლება ჩემი დანაშაულობა გავახტორო.  
მე მარტო გადაწყრა კი არ ვიქმარე — ორ ადგილას  
რიცხვიც ისე მოხერხებულათ გადავახტორე, რომ ვე-  
რავინ კერ შეამჩნევდა.

— მართლა რომ მაღაინ ცუდათ მოქცეულსარ,  
რა ვუეოთ, შვილო!

— ცუდათ მოვქცეულგარ? არა, მამა, სთქვი რომ  
საზისდარი ავაზაკობა და ქურდობა ჩამიდენია. განა  
მე არ გამოვიდიჯე ხელიდან სიკოს ჯილდო, რომე-  
ლიც მარტო იმან დაიმსახურა? იქნება იმასაც მამამ  
საჩუქრად ორჰირიანი დანა დაჭვირდა? საჩუქრის მა-  
გივრად საწეალმა ბავშვმა უთუოდ ბევრი საუკედურიც  
მიიღო. განა ეს სისამაგლე და ქურდობა არ არის?

— დამშვიდდი, შვილო, როდესაც მორჩები და  
კარგად გახდები შენ თითონ შეახტორე შენი დანა-  
შაული.

— მოვრჩები? არა, მამა, მე ვეღარ მოვრჩები, უნ-  
და მოვგვდე. ქსლავე უნდა გავახტორო ჩემი დანაშაული.  
ის ორ ჰირიანი დანა, რომელიც მე შენ მაჟიდე...

— ის დანა?

— ჭო, იმ დანას ჩემს მაგივრად სიკოს გადახცემ  
და რაც გითხარი უველავერს უამბობ.

— კარგი, შვილო, დანას შენ სახსოვრად დატყუშვილია  
ცემ. რა საჭიროა უველავერის ამბობა.

— უთუოდ! უთუოდ საჭიროა, რომ უველავ იცო  
დეს: იმისმა დედ-მამამ, მასწავლებლებმა და აშხანაგებ-  
მაც კი რომ ის იუო ჯილდოს ღირსი და თუ ვერ მი-  
იღო ეს იმ ქურდის ბრალია, რომელმაც უღალატა და  
სელიდამ გამოგლივა.

— კარგი, შვილო, რასაცა მთხოვ უველავერს შე-  
ვასრულებ, მაგრამ პირობა მომეცი, რომ დღეის იქით  
შენ მაგაზე აღარ იფიქრებ.

— ეხლა, რაკი ჩემი დანამაული გამოვამჟდევნე  
და ეცდები რომ გაასწორო ჩემი დანამაული, ისე უბე-  
დურად აღარ კიგრძნობ ჩემ თავს. იმედი მაქვს, რომ  
შემინდობენ, მაგრამ შენ კი, დაუმატა ბავშვმა და მა-  
მას მაგრა მოეხვის საქოცნელად, შენ კი შემინდე?

— ჩემო, საუგარელო ბიჭიკოვ!... სთქვა სელო  
სანმა.

— შენ კი, რომელიც ეგრეთი პატიოსანი და სა-  
მართლიანი ხარ, იფიქრებდი ოდესმე რომ შენი შვი-  
ლი ამისთანა სისამავლეს ჩაიდენდა?

მამამ ვერაფერი ვერ უპასუხა, მარტო ორი ცვა-  
რი ცრემლი გადმოსცვივდა თვალებიდან, და შვილის  
გახურებულ მუბლზე დაეცა.

— ღმერთიც ხომ შემინდობს?

— ჟო, შვილო, ღმერთი ჩვენზე უფრო სულგრ-  
ძელია.



ამ დროს ზარის რეკვაც მოისმა, რომ გამოეთხოვონ თავიანთ აჯადმეოვებს. მამამ უკანასკნელად გადაჭირდნა თავისი შვილი და შეწუხებული და დაზონებული იმ აზრით, რომ ვაი თუ ცოცხალი ვეღარ ნახოს, ოთახიდან გამოვიდა.

ბავშვი მალიან მმიმე აჯადმეოფი იუო. არც ექვი მებს და არც მომვლელებს იმის მორჩენის იმედი არა ჰქონდათ. მომვლელმა შეამჩნია, რომ ბავშვი აღელვებული დიდხანს მამას ელაპარაკებოდა, მაგრამ ხელი ვერ შეუძალა, რადგან დარწმუნებული იუო, რომ ესენი უკანასკნელად ხედავდენ ერთმანერთს.

ბავშვს თან და თან უკეთობა დაეტუო სრულიად დაწენარდა, სიცხე გამონელდა. ექიმები ამ გვარი უეცარი ცვლილებით გაკვირვებული იუვნენ.

კვირას, როდესაც მამა შვილის სანახავად საავადმეოვოში მოდიოდა, საცოდავ კაცს ფიხები უკან რჩებოდა, დარწმუნებული იუო რომ თავის საუფარელ გილოს ცოცხალს ვეღარ ნახამდა, მაგრამ კარებში მოგვლელს შეევეთა და ამან ახარა შვილის კარგა მეოფია.

მართლაც გილო მალე მორჩა და საავადმეოვოს დან გამოვიდა. სიკო და გილო ისე დამეგობრდნენ რომ უერთმანერთოთ ვეღარ სძლებდნენ.

# ზარმაცების მომრჯულებელი.

ზღაპარი.



უ და არა იუო რა, იმაზე უკეთესი რაღა იქნებოდა, იუო ერთი განთქმული ხელმწიფე-ჭეავდა ერთად ერთი მემკედრე, ლამაზი, მავრამ მრიელ ზარმაცი გასათხოვათი ქალი. ეს ქალი იმდენად ზარმაცი იუო თურმე რომა, წინ რომ ჭიქით წეალი სდგმოდა და ძალიან სწუურებოდა, ხელს არ გასძრავდა, თუ მოსამსახურეს არ დაელევინებინა. ერთ-ხელ, საღილს შემდეგ ბაღში გავიდნენ სასეირნოთ მამა-შეილი. ქალს მრიელ მოეწონა ერთი მსხმოიარე მშენიერი გულაბი და ჭამა მოუნდა, მავრამ დაეზარა მოკრეფა. მივიდა გულაბის მირში, მწვანეზე გავორდა გულ-აღმა, ჰარი დაღო და ინატრა: „ახ, ნეტა-ე ეხლა გულაბი ჰირში ჩამივარდესო“.

ხელმწიფე ძალიან დადარდიანებული იუო. არც ერთი სხვა ხელმწიფის შეილი არა თხოულობდა ამის ქალსა, რაღვანაც უგულამ იცოდა იმის სიზარმაცე.

ერთხელ ხელმწიფე სანადიროთ წავიდა თავის მხლებლებით, მინდორში ნახა ერთი უმარვილი გლე-სი, რომელიც გუთნით მიწასა ხნავდა. უღელში ცა-



ლი ხარი შეება და თავისი დედა, თითომი უფრო ცურატოს დედათ მისი დევდა. ხელმწიფეს შექცოდა ქალი და ჰყითხა გლეხს: „გაცო, რასა შვრები, ცოდო არ არის, ხარის მაგივრად ქალი შეგიბამსო?“

— „მაძ ოა ვქნა, ამ ერთი ხარის მეტი რომ არა მუავსო, უჩასუხა გუთნის დედამ.“

„მე მოგცემო“, შეჭრილდა ხელ მწიფე და გაუდგა თავის გზასა. მეორე დღეს ხელმწიფე გაუგზავნა ერთი ისეთი გიურ ხარი რომ, კაცი ახლოს ვერ მიეკარებოდა, თუ მიეკარებოდა ვინმე, მაშინ ვე რქებით აიბუროთ გვებდა ხოლმე. ხარის ძომეუანმა უველავერი უამბო გლეხს. გუთნის დედამ ხამი დღე და სამი დამე დაამწევდია ეს ხარი ბაქმი, არც ასვა და არც აჭიშა. მეოთხე დღეს შეაბა გუთანმი და წინ დედა გაუძღვოლა ბალახით ხელმი. ხაწეალ ხარს შიძმილით ფერდია ფერდს მიჰკროდა, ძლივს მიათრევდა ფეხებს, ისე საცოდავად მიღასლას ებდა და აბა სიგიურეს რაღას გაბედვდა. ხარი ბალახსა სჭამდ, ნელ-ნელდ და გუთანს ეწეოდა საღამომდის ჩაუფერხებლათ. ასე გატემა გლეხმა გიურ და ზარმაცი ხარი.

გაიგო ხელმწიფემ ეს ამბავი და მალიან გაეხარდა. „მოდი ახლა ჩემს ქალს მივათხოვებ, იქნება კსეც მოარჯულოს“, მაინც კარგი არავინა თხოულობსო“, გაიფიქრა ხელმწიფემ. დაიბარა გუთნის-დედა და უთხრა: „იქნება შენ გაგიკვირდეს კიდეც, რასაც ეხლა მე გუტუგი, მაგრამ მერწმუნე მართალია. მე მინდა ჩე-

ში ქალი მოგათხოვო, იქნება ესეც ისე მოაწყობოდა, როგორც ის გიურ სარი“.

— თუ მართალსა ბრძანებო, კარგით, დაეთანხმა გუთნის დედა.

დაიწერა ჯგარი, ქორწილიც გადაუხადა სელმწია-  
ფებ და გააუოლა თავისი ქალი ცარიელ-ტარიელი.

გუთნის დედამ ეს ქალი ისე დაამწვდია სამი დღე  
და სამი ღამე, როგორც ის სარი, არც ასვა და არც  
აჭამა. დედასაც სასტიკად აუკრძალა, რომ რძლისა-  
თვის არა ეჭმია რა ჩუმათა. მეოთხე დღეს გამოუშვა  
ცოლი; ქალმა რა დაინახა მოჩეჩქიანებული სახლი,  
ცოცხი აიღო ხელში და გამოგავა. ქმარმა რო ეს  
დაინახა, გულში გაუხარდა, დაუძახა დედას და უთხრა:  
„დედა-ჩემო, მოუტანე ცოტა პური და ქათმის ერთი  
ფრთა. ქათამი განვებ დღეს დავკალი. ესლა კი მკუთ-  
ვნის შენაურება, რადგანაც სახლი გამოგავა ჩემმა  
ცოლმა. ამის შემდეგ პრომის დაგვარად მიეცემა სა-  
ჭმელი. ცოლმა რომ ეს გაიგონა მუშაობას მოუბატა:  
პურის ცხობაც შეისწავლა, წეალიც მოჰქონდა, სახლ-  
საცა ჰევიდა, სჭრიდა, ჰევრავდა, სარეცხსაცა რეცხავ-  
და და დედამთილსაც კარგათ უვლიდა ერთი სიტუაცია  
საუკეთესო მეოჯანე ქალი დადგა. დედამთილმა და  
ქმარმა პრიელ შეიუვარეს და საჭმელსაც მოუმატეს.

გაიგო ხელმწიფებ თავისი ქალის ქება და მოინ-  
დომა თავის თვალით ნახვა. ითხოვა გლეხის დაგლე-  
ვილი ფარაჯა და ნაბდის ქუდი, გადაცევა ზემოდამ,



ხელმი ჯოხი დაიჭირა და გაუდგა გზას ბრძოლის საკენ, სადაც მისი სიძე სცხოვრობდა. აი მივიდა კი ღეც. სახლის ბანზე ჭილობები გაემალა მის ქალს და ტედ ხორბალს ახმობდა.

— „ცოტა წეალი დამალევინე, თუ დმერთი გწამს, მგზავრი ვარ, შვილო“, უთხრა ხელმწიფემ განვებ.

„მერე, რომ სახლმი შევიდე წელის გამოსატანათ, ხომ ქათმები შესჭამენ ხორბალს. თუ დაუდგები, გა მოვიტან“, უთხრა ქალმა.

ხელმწიფეს მრიულ გაუკვირდა შვილის ასეთი ქცევა. სწრაფად გადიძრო გლეხის ფარზჯა, მოიძრო თავიდინ ქუდი და ისე ეჩვენა შვილს.

— „ვეღარ მიცანი, შვილო? მრიელ მოხარული ვარ; რომ აგრე გაფხიანებულხარ“. ამ სიტუაციით მამა და შვილი გადაეხვივნენ ერთმანეთს და გულიანათ გადაჲკოცნენ. ამ დროს გუთნის დედა თავის დედით გამოვიდნენ სახლიდან. გახარებულმა ხელმწიფემ ახლა ამათ მისცა სალამი.

— „მადლობელი ვარ, ჩემთ მვირფასო სიძევრომ ასრე გაგიწროვნია ჩემი ქალი და სიზარმაციდან დაგიხსნია. ეხლა კი წამოდით უკელანი ჩემთან და იცხოვრეთ ისე, როგორც მე ვცხოვრობ. ჩემს შემდეგ-კი ჩემი ტახტიც და მოლად ჩემი საცხოვრებელიც შენთვის დამილოცნია, ძვირფასო სიძევ. დაათავა ამ სიტუაციით ხელმწიფემ.

## პვესარა თავცეცხლა \*)



(ამბავი თეოდოროვ—დაგიდოვისა).

ავცეცხლა არა თუ სთვლიდა თავს  
მიწის მფლობელათ—ეგონა რომ  
იძახე მაღლა აღარავინა სდგას  
და ვერც ვერავინ გაბედავს მიე-  
კაროს მას.

ჩამოთვლაც მნელი იუო რამ-  
დენს ცხვრებს, მროხებს, ცხე-  
ნებს... ამ თავცეცხლამ ცხვირი დაუფხაჭნა თავის სიცო-  
ცხლეში; რამდენ უმაწვილს ხელში ხიჭვი შეარჭო.

უველა მისი საქციელი ღვაწლათ რომ ჩავთვალოთ  
თავცეცხლასავით დავ გმირი ქვემანაზე არასოდეს არც  
უოფილა ვინმე და არც იქნება.

ამაზე მეტს ვერ იქნებს თავს, მგონი, თვითონ თავა-  
ცეცხლაც.

— მართალია, მართალია! ამბობდა თავცეცხლა,  
არც ერთ ცხვირის ნესტოს, ვინც კი მომეკარება, არ  
გაუძვებ დაუჩხვლეტელს.

აგრეც იუო. თავცეცხლა სდევნიდა უველას—ჩხვ-  
ლეტდა, ფხაჭნიდა, არ შეარჩენდა ტანისამოს არც ერთ  
გამგლელს.

\*) იმერეთში ეძახიან „ბურძგალას“.



— ჩემ მოვალეობას ვასრულებ, ამბობდებული  
რათ ის.

ვინ დაავალა თავცეცხლა ამას კი არ ამბო-  
ბდა. მგონი, ის უფრო თავის თავს უფრთხილა-  
დებოდა, ემინოდა რო შემჭამონო და წამ და უწუმ-  
იძახოდა:

„წარმოიდგინეთ, წამოვა ერთი უმსგავსი ვინმე-  
ვთქვათ ძროხა, დაავლებს პირს ხან ერთ ბალახს, ხან  
მეორეს. ჩემკენ რომ გამოსწევს, იმავ წამს ვუჩხვლეტ-  
მწარეთ ცხვირში და ვეტევი — უს გნებავდათ. — ის ბდა-  
ვილით გამეცლება. აი თუნდ. დახეთ, როგორ ცელქი  
ბიჭი თელავს ბალახს, ჰქონეთ უვავილებს აქეთ-იქით-  
გადასაურელათ. აბა, გაბედოს და მომეკაროს! ან სიჭვეს  
გაუური, ან შელვარში ჩავერწყობი და შემოვაგლევ, მი-  
ვა სახლში და იქაც ქოჩით ვათრევ. მამ რავქნა, მნე-  
ლია ცხოვრება-ხედავთ, ზოგი ჩხირივით გამხდარია,  
ზოგს ულვაშები დაგლეჯილი აქვს. თავცეცხლა კი-  
ბატონის ბატონია. მაუკლის ჭერი ქუდი ქოხტათ მა-  
დგას თავზე და ვერავინ ბედავს მომეკაროს.

— რა თავი მოაქვს ამ ვაჟბატონს, ამბობდა გა-  
კავრებით მრავალ-ძარღვა მცენარე. მაგ უბედურს ჰელ-  
ნია, რომ მაგაზე გემრიელი საჭმელი ქვეუანაზე არ-  
მოიპოვება და თავს საძინლათ უფრთხილდება. ვინ-  
გიურ მიეკარება მაგის ეკლებს.

— აგრე გეგონოთ! თქვა წევნით თავცეცხლამ —  
მე უველას ვურჩევნიგარ...

— მალიანაც სცდები, ბატონი, მიუგო და დოლომი.

ამ ღროს მროხებმა თავცეცხლას გვერდით გაუარეს. შემინებულნი უურებს ცქანიდენ და ერთი მეორეს ეუბნებოდა;

— ხელი არ ახლოთ ამ ვაჟბატონს, იყბინება.

ბალა, ბალა, ბალა!

არ მეშინიან, არა!

თავმომწონეთ დამღერა თავცეცხლამ.

— თავი დაანებეთ მავ ეპალს, ბუტბუტებდენ ცხვრები და გაურბოდენ განზე.

თავცეცხლა კი უფრო ხმა მაღლა დამღეროდა:

ბალა, ბალა, ბალა!

არ მეშინიან, არა?

მე შენ გიჩვენებდი სეირს, გაგითხრიდი ძირს, ღრუტუნებდა ღორი, მაგრამ დინგს ოოგორ გავისური შენის გულისთვის.

ბალა, ბალა, ბალა!

არ მეშინიან, არა?

განაგრძობდა თავცეცხლა ბოხის ხმით თავის სიძღერას და თან არხევდა თავის შტოებს. მას შესცეკროდა სასოწარკვეთილებით აუარება ოხსფეხი მტერი, რომელთა წინ თრთოდა მრავალი მინდვრის უვავილები და ბალასი.

ამ გულადი თავცეცხლას კვებნა, მოულოდნელათ, საუბედუროთ გათავდა.



ერთხელ მინდორში დასეირნობდა ვიღა და დიდი წერტილი უკრებიანი, უცნაური შეხედულობის, ნაცრის ფერი არ სება.

ეს არსება მიუახლოვდა თუ არა თავცეცხლას-ამან ჩვეულებრივ დაიწეო ამაურა თავისი სიმღერა, რომ არავისი არ ეშინიან.

— იმედი მაქს მეც თქვენი თავგანის მცემელი გავხდები. გასაკვირველია, რომ თქვენისთანა უბრალო მცენარემ მთელი ხროვა პირუტყვები მოიგერა! სწორეთ რომ გასაკვირველია.

— მე ჩემ მოვალეობას ვასრულებ. უთხოა თავ მდაბლათ თავცეცხლამ და მავლის ფერი ქვდი აათა-მაძა თავზე.

— სწორეთ სასიამოვნოა, რომ ამისთანა გულა-დი ბრძანებულხართ.

— გულადობის გამოჩენა მაძინ შეიძლება, რო-დესაც დარწმუნებული ხართ თქვენ მალაში და ხელ შეუხლებლობაში, როგორც ახლა მე, თქვა ამაურა თავ-ცეცხლამ.—არც ერთი მხეცი რაც უნდა ავმუცელა იქოს არ მომეკარება.

ამ დიდ ურა, ნაცრის ფერ არსებას გაეცინა და თქვა:

— გგონიათ აგრე? თქვენ არ გემინიანთ მტრები-სა. მეგობრებისაც არ გემინიათ?

— ჩემ თავს გუფრთხილდები და ამიტომ მტრებს

ვერიდები. მეგობრებს კი ვშველი რითაც შემიძლობა, აუგი  
მაგრამ მე არა მეავს მეგობრები.

— დავმეგობრდეთ! უთხრა ამ უცნობმა არსებამ.—  
და მეგობრობის ნიშნათ ნება მიბომეთ მოგხადოთ ეგ  
მაჟვლის ფერი ქუდი.

ერთ წამს ამ უცნობმა არსებამ მოჰკლიჯა  
თავი ამ თავცეცხლას. იმას უნდოდა ეჩხვლიტა, მაგა  
რამ ამ დიდ უურა არსებას ისეთი სქელი ტეავი ჭქონ-  
და, რომ ეკალი მინასავით ტედებოდა და ამ უბედუ-  
რის ფოთოლს და შტოებს ხრამა-ხრუმი გაჰქონდა უც-  
ნობის პირში.

— ვინა ხარ? ამოიკვნება თავცეცხლამ,— ვინა ხარ,  
ჩემო მეგობარო?

— მე ვირი გახლავართ! თქვა მოწიწებით ამ უც-  
ნობმა.

საკმარისი იქო ამ სახელის გაგონება, თავცეც-  
ხლა უნდა დამორჩილებოდა ბედს, რადგან ვირის ჯი-  
უტობა გათქმულია და მის ჯიუტობას თოფ-სარბაზა-  
ნიც არას უძველის.

(თარგმანი)

ან. წერეთლისა.





## ტემის ტემი მოსდევს.

მოქმედება მეორე.

(ფრანგულით)

სცენა წარმოადგენს იგივე სურათს.

**ბაბუცა.** (მარტ. შემთაქვს უველი, ნაღები და აწეთბს სუფ-  
რაზე) მგონი ყველაფერი საგანგებოა და კატოს გემოვნებაზეა-  
მოწყობილი. საღილობის დროც დადგა. ნეტა, რატო აქამ-  
დის არ მოდის! (ასწორებს სუფრას და მის გარშემო ტრიალებს).  
ეს არი ახლა ვნახე ტიმოთეს მამა, უამბე რანაირად სცენა  
მისმა შვილმა ჩემ ძმას. არაფრად იამა. აგრე უნდოდა, როგორ  
შევარჩენდი. (ცოტა სიჩუმის შემდეგ) რა დაემართა ამ ნიკას,  
რატომ არ მოაქვს ყურძენი. არც კატო გამოჩნდა. ნეტა რამ  
დაუშალა მოსვლა? აი, მოდის!

**კატო.** განა აქა ხარ?

**ბაბუცა.** რაზე გაგიკვირდა?

**კატო.** როგორ არ გამიკვირდა, მეგონა ბებია შენთა-  
ნა ხარ.

**ბაბუცა.** რამინდოდა ბებია ჩემთან?

**კატო.** მერე რა—ვითომ ქვეშაგებში წევხარ?

**ბაბუცა.** ასე დღითი, ქვეშაგებში?

**კატო.** თუ კი ავადა ხარ!

**ბაბუცა.** ვინა, მე—ავადა ვარ!

**კატო.** გეტუობა კარგათ გამხდარხარ!

**ბაბუცა.** ძალიან კარგათა ვარ. ჩემ ღლეშიაც არა ვყოფილვარ ასე კარგათ.

**კატო.** მაშ რათ მითხრეს?

**ბაბუცა.** თუ გითხრეს, მოუტყუებიხარ.

**კატო.** ამ ნახევარი საათის წინეთ მე და ჩემი გადია მოვედით, აქ პატარა ბიჭი დამიხვდა, მგონი შენი ძმა უნდა ყოფილიყო და მითხრა, რომ ავადა ხარ და ბებია შენთან წახველ. ის იყო მინდოდა გადია წამომეყვანა და წამოვსულიყავ შენთან, მაგრამ გადია დალლილიყო და მთხოვა—ცოტა მომეთმინა. ამ დროს შენცა გნახე.

**ბაბუცა.** რა ზღაპარი უთქვაშს ნიკას შენთვის!

**კატო.** უფრო კარგი რომ ტყუილი გამოდგა და კარგათა ხარ. მაგაზე ნულარას ვილაპარაკებთ.

**ბაბუცა.** ნეტა ვიცოდე რაზე მოუვიდა თავში მაგისთანა ტყუილი. უნდა მივხედო ქადებს, არ დამეწვას. მაგ ტყუილების ამბავს გამოვიძიებ, ახლა არა მცალიან. (გადის).

**კატო.** (მარტო). გაგონილა ამისთანა საქმე. ის ბიჭი უსათუოდ გიერ უნდა იყოს. (შექედავს გაშლილ სუფრას) რა კარგი რამ არი ბაბუცა, როგორ მოურთავს სუფრა. რა მშვენიერი მინდვრის ყვავილებია. (ამრიცებს იქდან ერთ უკავილს და კაბაში გუაზზე ირჭობს. მეორეს თქებში, ხსნ მარგხნივ და ხსნ მარჯვნივ. ამ დროს შემთდის ხინა. არ დაინახავს კატოს).

**ნიკა.** (თავისთვის) ჩარდახის ფანჯრიდან გავყურებდი გზას, რომელიც ბებიაჩემისკენ მიღის და ვერა ვნახე მიმავალი ქალბატონი კატო. უსათუოდ წავიდოდა, გადია ალარა ჩანს ხის ქვეშ. ბაბუცა რომ იქ არ დაუხვდება, რას იტყვის. უნდა რამე მოვიგონო, რომ თავი დავაძვრინო. ((უცბათ დაინახავს კატოს და შეჟევირებს)).

**კატო.** აი, პატარა ბიჭიც! შენ რა მითხარ, რომ ბაბუცა ავად არის. ეს არი ახლა აქ იყო, იმას არა უჭირს რა. კარგათ არის.



**ნიკა.** (შეგრთდება და ბუტბუტით ამბობს) აგრე გვერცხნილი!

**კატო.** ჩემი თვალით ვნახე.

**ნიკა.** (შეგრთობით) ვითომ?

**კატო.** შენ არ მითხარი — ბებიასთან წავიდაო!

**ნიკა,** (ისევ ისე) მაშ ეტყობა დაბრუნებულა.

**კატო.** ისიც ხომ მითხარი, რომ ქვეშაგებში წევს?

**ნიკა.** (ისევ ისე) მე რავჭნა. ექიმმა უბრძანა ჩაწოლილი-  
ყო ქვეშაგებში.

**კატო.** ვერ გავიგე. რითი არის ავად?

**ნიკა** (დაფანტულათ) რითი!

**კატო.** ჰო, რითი არი ავად?

**ნიკა.** განა არ მითქვამს თქვენთვის?

**კატო.** არ გითქვამს. იმას ავაღმყოფობა არ ეტყობა.

**ნიკა.** ავად კი არის.

**კატო.** მაინც, რითა არი ავად?

**ნიკა.** (ფიქრობს რა მოიგონოს) ჰო, ჰო, გუშინ ცოფიან-  
მა ძალლმა დაპირინა.

**კატო.** (გაოცებული) ცოფიანმა ძალლმა! ღმერთო ჩემო,  
რა დამართვნია.

**ნიკა.** მერე რა საშიშია ცოფიანის ძალლის დაკბენა.

**კატო.** საწყალი ბაბუცა! საკვირველია რატომ არ მი-  
თხრა.

**ნიკა.** ალბათ არ გახსენებია..

**კატო.** როგორ თუ არ გახსენებია.

**ნიკა.** უსათუოდ დაავიწყდებოდა.

**კატო.** ძალლს რაღა უყვეს, მოჰკლეს?

**ნიკა.** მოჰკლეს.

**კატო.** ვინ მოჰკლა?

**ნიკა.** მე.

**კატო.** შენა?

**ნიკა.** ჰო. მე.

**კატო.** სწორეთ გასაკვირველია. როგორ ჩაიგდე ხელში.

**ნიკა.** ჯერ დილითვე გვითხრეს, რომ გზაზე უნახავთ ცო-  
ფიანი ძალლი. მაშინვე ბუკი და ნაღარა დასცეს, წამოვიდა

ყველა—ზოგი თოფებით, ზოგი ხანჯლებით, ზოგმა მორტანი ირ თითა, ნაჯახი და სხვა. ერთი სიტყვით ვისაც რა გააჩნდა. ყველა ფეხზე დადგა: ტყის მცველები, მამასახლისები, გზირები და სხვა მოხელეები. მაყურვბელ ბიჭებით გაივსო ქუჩა. ყველა ყვიროდა, ყველა ხმაურობდა. მე ჩავსაფრდი ერთ კუთხეში ჩემი დანით.

**კატო.** დანით რას გააწყობდი ცოფიან ძალლთან.

**ნიკა.** (განაგრძობს) შორიდან დავინახე თუ არა ძალლი, მაშინვე თავში დავცხე დანა და მოვკალ.

**კატო.** მოჰკალი! ერთი დარტყმით როგორ შეიძელი მოკვლა. მერე არ მოგვარდა საკმენათ.

**ნიკა.** მომვარდა, მაგრამ ვერა გააწყორა—ვერ მიკბინა—  
**კატო.** როგორ მოხდა.

**ნიკა.** ისე მოხდა, რომ დანა შიგ პირში ჩავცხე და პირი დაურჩა გაღებული, აი ასე (აღებს ჩირს).

**კატო.** რაღაც უცნაურ, დაუჯერებელ ამჰავს მეუბნები.

**ნიკა.** ასე იყო. მართალს ვამბობ.

**კატო.** (ეჭვით თავს იქნევს) მაგ ძალლმა დაჰკბინა ბაბუცა?

**ნიკა.** დიახ.

**კატო.** რა ადგილას?

**ნიკა.** მკლავზე.

**კატო.** რომელ მკლავზე?

**ნიკა.** მარტენაზე.

**კატო.** (თავისთვის) როგორლაც არა მჯერა. მართალი არ უნდა იყოს. (მიუბრუნდება ნიკას) ბაბუცა ნაკბენით არის ავად?

**ნიკა.** ჰო.

**კატო.** ექიმი მოუყვანეთ?

**ნიკა.** რასაკირველია. დღეს დილით რომ მნახეთ-მივდიო სახედრით ექიმთან.

**კატო.** იმიტომ ჩქარობული აგრე!

**ნიკა.** დიახ. (ცოცხლათ) ხომ ხელავთ ქალბატონო კატო, რომ სჯობს ბაბუცას არ მოუცადოთ. ამბობენ ცოფი მაღვ, გამოაჩნდებათ.

**კატო.** ნუ თუ ისე უნდა წავიდე რომ არა ვნახო.



**ნიკა.** გნებავთ გაგაცილებთ, თქვენ ვადიასთან მჩგურებელი.

**კატო.** მაღლობელი ვარ, ნუ გაირჯები.

**ნიკა.** (თავისთვის) ბაბუცა მოვა და რა მეშველება. აი ისც მოდის,. ველარ მოვასწარი ამის გასტუმრება.

**ბაბუცა.** (შემოდის ქადებით ხელში) როგორ დამიგვიანდა, უცდიდი რომ დაბრაწულიყო. (უჩვენებს ქადებს ქატოს) შეხედე ერთი, რა მშვენივრობაა. (მიუბრუნდება ნაკას, რომელიც მოშორებით ატუზული დგას). ყურძენი რა უყავ?

**ნიკა.** (დაფანტულივით) ყურძენი! სულ არ დამავიწყდა

**ბაბუცა.** გასწი, მომიტანე ახლავე (თავისთვის) სანამ მოვა, ყველაფერს გამოვიკითხავ.

**ნიკა.** (შეხედავს ქატოს თავისთვის) ეს ქალბატონი სულაც არ აპირობს, წასვლას... (მერე გადახედავს ორივეს ეჭვით და საჩქაროთ გადის).

**კატო.** რაში ეტყობა ამას ძალლის დაკბენა, რა მოიგონა ნიკამ.

**ბაბუცა.** (ნაზუქებს აწერს სუფრაზე. თავისთვის) ყველა-ფერი მზად არის. ხოლო უნდა დავსხდეთ. რა მოუხდებოდა ჩემი ატმები ამ სუფრას. (ქატოს) წარმოიდგინე, ბატონო კატო, რა მშვენიერი ატმები მქონდა შენახული თქვენთვის. ყოველ დილას დავხედავდი. რანაირად ვუვლიდი, მეტ ფოთლებს ვაკლიდი, რომ კარგათ დამწიფებულიყო. მიხაროდა რომ გი-თავაზებდი. მერე, როდესაც წაველ მის დასაკრეფათ—აღარ დამიხვდენ. ჯავრით ვტიროდი.

**კატო.** ჩემი კეთილო ბაბუცავ! რაზე სწუხდები. ხედავ რამოდენა საჭმელი გვაქვს. მართლა, მეცა მაქვს ერთი ატამი, ჩემ აბგაში. ეს არი ახლა გზაზე ვიპოვე. მშვენიერია, ხოლო ცოტა დაბეჭილია. (აშლიდებს აბგიდან ატამს).

**ბაბუცა.** (შეხედავს) ეს ხომ ჩემი ატმებისაა, მაშინვე ვი-ცანი.

**კატო.** როგორ იცანი?

**ბაბუცა.** რომ უფრო ლამაზები იყვენ, ყველა ატმებზე გამოვიყვანე სხვა და სხვა სახეები. აი ამ ატამზე ასო ე არის გამოყვანილი, თქვენი სახელის-ეკატირინეს— დასაწყისი ასო.

**კატო.** მართლა. მე ვერა შევამჩნიე რა. ნეტურალური აუეთებ?

**ბაბუცა.** ამის გაკეთება ძნელი არ არი. ატამი რომ დაიწყებს დამწიფებას ქალალდის ნაკერზე დახატავ რაც გინდა, გამოსჭრი დახატულს და ზედ ატამზე დაკრავ. მზე აწითლებს ატამს ყველგან, სადაც კი ქალალდი არ არი დაკრული. მერე როდესაც მოხსნი ქალალდს ის ადგილი თეთრათ რჩება და დანარჩენი ადგილი კი პირისფერია.

**კატო.** ეგ კაი გამოგონებაა. (დასცექერის ატამს) რა მშვენივრათ და გარკვევით ჩანს ეს ასო - ე.

**ბაბუცა.** შენ ამბობ რომ გზაში იპოვე ეს ატამი?

**კატო.** ჰო, გზაში. მითხარი ბაბუცა, მართალია რომ ცოფიანშა ძალლმა გააში დაგყბინა?

**ბაბუცა.** (იცინის) მე!

**კატო.** ჰო, შენა, მარცხენა მკლავში.

**ბაბუცა.** (ხარხარებს და უჩვენებს მკლავზე) შეხედე.

**კატო.** მე არას ვამჩნევ.

**ბაბუცა.** აი ესეც მეორე მკლავი.

**კატო.** ვერც ამაზე ვამჩნევ რასმეს. მაშ გუშინ თქვენ მხარეს ცოფიანი ძალლი არა ყოფილა.

**ბაბუცა.** მე არ გამიგონია რომ ცოფიანი ძალლი ყოფილიყოს ჩვენკენ, ვინ გითხრა აგრე დარწმუნებით.

**კატო.** აქ რაღაც ამბავია. უნდა გამოაშეარავდეს ყველაფერი. დღეს დილით შენთან რომ მოვდიოდი, შევუხვიე დედაბერ მართასთან. ავად არის და დედამ გამოუგზავნა ლვინო და ხორცის წვენი. ის იყო, როგორც კი მივედით, მომება უკანიდან საშინელი ხმაურობა. მივიხედე და დავინახე პატარა ბიჭი სახედარზე მჯდომი, რომელიც საშინლად სცემდა პირუტყვს და კიუინით წინ იგდებდა. როგორც კი მართას ქოხს მოუახლოვდი გაქანებული სახედარი ერთი ისეთი ძალით შეხტა, რომ თავისი მხედარი გადისროლა ერთ დიდ წუმპეში. (სიცილით) სწორეთ სეირი იყო მისი ნახვა.

**ბაბუცა.** (თავისთვის) რას ამბობს. დღეს დილითო!



**კატო.** ჩემმა გადიამ უშველა და ააყენა. ბჟერა არა უშველა  
უტკენია. ხოლო ხელი დაიკაწრა.

**ბაბუცა.** (ისევ თავისთვის) ხელი დაიკაწრაო!

**კატო.** ტანისამოსი კი სულ ამოესვარა ტალახში.

**ბაბუცა.** (ისევ თავისთვის) ახლა კი მივხვდი, რატომ ნი-  
კამ გამოიცვალა პერანგი.

**კატო.** როგორც კი ხელ ახლად სახედარზე შეჯდა და  
წავიდა—ეს ატამი იქვე, ძირს დავინახე.

**ბაბუცა.** (შეჭევირებს) განა შესაძლოა ამოდენა ტყუილის  
თქმა, რამდენსაც ნიკა სტყუის.

**კატო.** შესაძლო ყოფილა. ტყუილს ტყუილი მოსდევს.  
აღვილი მისახვედრია რატომ არ უნდოდა რომ მენახე.

**ბაბუცა.** ვაი ჩემო ატმებო! რამდენი ტყუილი ათქმევი-  
ნა მაგ ატმებმა. (გაიურება შთას) აქედან მოსჩანს როგორ და-  
წანწალებს ის სუნაგი. ალბათ უნდა შეიტყოს წახვედი თუ  
არა. მოდი დაიმალე. ერთი კარგათ დავცინოთ. (კატო იმაღლება).

**ბაბუცა.** (უძახის ძმას) აქ მოდი ნიკა, მანდ რას აკეთებ.

**ნიკა.** (მთრიდებით) არაფერს. (აქეთ იქით იუურება) ქალ-  
ბატონი კატო განა აქ ალარ არი?

**ბაბუცა.** კარგა ხანია წავიდა, არ მოინდომა ესაუზმა.

**ნიკა.** მაშ წავიდა?

**ბაბუცა.** წავიდა. ვერა გზით ვერ შევიკავე.

**ნიკა.** (თავისთვის) კარგა უქნია. (ხმა მაღლა) ხომ არაფე-  
რი უთქვამს.

**ბაბუცა.** არა.

**ნიკა** (თავისთვის) უფრო კარგი. (ხმა მაღლა) კარგა უქნია  
რომ წასულა.

**ბაბუცა.** მართლა! რატომ?

**ნიკა.** ო! იმიტომ... იმიტომ...

**ბაბუცა.** მაინც!

**ნიკა.** იცი რა გითხრა. გუშინ ის ხომ ცოფიანმა ძალლმა  
დაჰქებინა.

**კატო.** (გამოჩნდება. ისა და ბაბუცა საშინლათ იცინიან) ისე  
გამოდის, რომ ყველა ცოტიან ძალლებისაგან დაკბენილები  
ყოფილან, მეც განა?

ნიკა. (შექრთება) ქალბატონი კატო აქ ბრძანებული ციკლოპედია  
კატო (დაცინვით) აბა, ნიკა, წუმპოში რომ ჩავარდი ამ  
დილით, მას აქეთ როგორა ხარ!

ბაბუცა. (ისიც დაცინვით) რა იტკინე?

ნიკა. (ხან ერთს შესცემის საცოდავათ და ხან მეორეს).

კატო. საბრალო ლურჯა არ გირბეინებია, განა!

ბაბუცა. სულ ნელის ნაბიჯით ატარებდი, განა?

კატო. ექიმს ჩემზეის თუ პაბუცასთვის დაეძებდა.

ბაბუცა. მარჯვენა მკლავზე თუ მარცხენაზე ვარ ნაკბენი?

კატო. გაფრთხილდი ნიკა, ხომ იცი რომ ცოფი გადამ-  
დებია.

ბაბუცა. მე ხომ ვარ და ვარ დაკბენილი, ახლა კატოს  
უნდა ერიდოთ.

კატო. უსათუოდ ის ძალლი, რომელიც გუშინ მოჰკალი  
დღეს ისევ გაცოცხლდებოდა.

ბაბუცა. ეგ სადღესასწაულო ტანისამოსი იმიტომ ჩაიც-  
ვი, რომ ცივა თუ ცხელა?

კატო. მაჩვენე ის პატარა დანა, რომელიც ისე მარჯვეთ  
ჩაურკე პირში ცოფიან ძალლს.

ბაბუცა. მეც მაჩვენე მართას თხა, რომელიც ისე მარ-  
დათ გაღმოხტა კედელზე.

კატო. და შეჭამა ყველა ატმები!

ბაბუცა. ტიმოთე საიდან გამოვიდა — მართას ქოხიდან  
თუ პეტრეს დუქნიდან.

ტიმოთე. (შემთდის ადელვებული) სად არის ის ტყუანა,  
მაწანწალა ბიჭი, რომელმაც მოგიტანათ ამბავი, რომ მე დუქ-  
ნიდან გამოველ ნასვამი და ვცემე იმას. უნდა ყურები აუს-  
რისო. (უწევს ნიკას უურებს და ისიც უვირის).

ბაბუცა. აპატიე, ბატონო ტიმოთე. მგონი ამ ხელათ  
კარგათ დაისაჯა.

ტიმოთე. ღირსია უფრო მეტად დაისაჯოს.

კატო. ეყოფა, უიმისოთაც უნდა სცხვენოდეს, რომ ყვე-  
ლა მისი ტყუილები გამოაშკარავდა და მეორეთ აღარ გაბე-  
როს. ხომ აგრეა, ნიკა? (ნიკა თანხმობის ნიშნად თავს იქნებს).



**ଫୁଲିନ୍ତା.** ଏହାରେ, ତୁ କୁଳାଙ୍ଗ ଗାଢ଼ୀଙ୍ଗ ଶ୍ରୀପୁଣିଲ୍ଲେବିଲ୍ ରେ ଜ୍ଞାନ,  
ପ୍ରମାଦ ଏବେଳେ ଦାଗ୍ଯାଧର୍ମେବ, ବେଳା କି ଅନ୍ତର୍ଭବିତ କାତରିତ ମିଳାତ୍ରିଗ୍ରେବିଲ୍ ।

კატო. რას იტყვი ნიკავ, კვლავ აღარ იტყუებ?

ნიკა. არა, არა, ქალბატონო კატო. სიტყვას გაძლევთ.

**ბაბუცა.** მაშ, კარგი, მოუსხდეთ სუფრას, ვისაუზმოთ.

## ၁၆. နှောက်ချောင်းများ

(ଫୁଲାର୍କୁଳେଣ୍ଡିଂ).



# გ ვ ა ღ ვ ა .

(ლეგენდა)

გაგონილი ჯავახეთში ილ. ალხაჩიშვილისაგან.



## I

ღარ გვახსოვს როდის მოხდა,  
არაბის თუ თათრობის დროს,  
გაზაფხული გვალვით დადგა,  
ლამის ყველა ამოახმოს.

\*

მოსავალს პირი არ უჩინს,  
მიწა დასქდა მთლად მინდორში  
პური, ქერი და სიმინდი,  
არ ირჩევა ლობიოში.

\*

მოგვალულმა პირნახულმა,  
ხალხსაც გული დაუთუთქა,  
შიმშილობა ჩამოვარდა,  
ბალბა-ჭინჭარს უწყეს თუთქვა.

## II

გოგო-ბიჭები დაგროვდა,  
აკონკებენ ლაზარესა;  
კარის-კარსა დაათრევენ,  
გაწუწულსა, ყოველ დღესა.

\*

ფეხშიშველი, გაწეწილი,  
გზას გაუდგნენ გალობითა,  
მთლად სოფლები დაიარეს,  
ლაზარ თოჯას წყალობითა.

\*

— „აღარ გვინდა გორახიო,  
ღმერთო მოგვე ტალახიო...“  
სახლის კარზე ყველა ოჯახს  
დაუმსხვრიეს გორახიო.



ლიტრით წყალი გამოჰქონდათ,  
თავს ასხამდენ ლაზარესა,  
ზოგან ჯამით ფქვილს ძლევენ,  
ზოგანც შესანდობი სვესა.

\*

ქსუისში ბროლი ქალები,  
„მოზერა-ქვას“ ევლიანო,  
ირგვლივ ფერხული ჩაუბამთ  
სიმღერითა უვლიანო.

\*

— „ღმერთო წვიმა დაუშვიო,  
კოჭობაში ჩაუშვიო,  
ლაზარეც მოდგა კარსაო,  
და ალორლოშებს თვალსაო“...

\*

პატარძალი ფერხულს ასხლოა,  
„მოზერა-ქვას“ შეაფრინდა,  
ავიდა და ზედ დასკუპდა,  
ქორივითა დააფრინდა.

\*

— „ასეთი წვიმაც მოსულა,  
ყანებიცა დამძლარაო,  
ბატონიანთ მამითადში,  
მუშა როდის გამძლარაო“.

## III

არსად გამოჩნდა ღრუბელი,  
ცა კრიალებს, ცა მშრალია,  
„ლაზარ“ — „მოზერა“ ვერ შველით,  
რუბი მთლად დამშრალია.

\*

ერთს სოფელში, გამოიცანთ  
მოხისსა თუ ბოდბისხევში,  
ხალხმა თავი მოიყარა,  
გინხიზნონ სადმე მთებში.

ბერი კაცი ასე ამბობს:  
— „ჩვენი ცოდვა გადიდდაო,  
სად გაურბით ღვთის რისხვასა,  
აწ ბჭობის ღროც დაგვიდგაო“.  
\*

ბჭობაზედა გადასწყვიტეს:  
მოვკრიფოთო დიდი ფული,  
ოქრო ღმერთსა გაუგზანოთ,  
მოიბრუნოს ჩვენზედ გული.

\*

ავირჩიოთ სანდო კაცი,  
ღმერთს წაულებს ფულებსაო,  
შეევედროს წვიმას მოგვცემს,  
დაგვიცოცხლებს ყანებსაო.

\*

ასი ოქრო გამოუკრეს,  
გაატანეს ტიმოთესა,  
დარიგება ბევრი მისცეს,  
გუდაც საგზლით გაუვსესა.

IV

ტიმოს გაგონილი ჰქონდა  
იცოდა რო ღმერთი იქ ზის,  
საიდანაც რიერაფია,  
საიდანაც მზე ამოდის.

\*

სინამ ტიმო გზას გაუდგა,  
გაღმა სოფელს შეიარა;  
იქ გრძნეული ვინმე ნახა,  
ჯვარედი გზა გაიარა.

\*

დედაბერმა ასე უთხრა:  
— „შვილო მძიმე საქაე გაძევს,  
ღმერთის ნახვა ძნელი არის,  
მანძილიცა დიდი გიძევს.“

\*



— „უწინ ასე როდი იყო,  
იალბუზზე აღიოდნენ;  
ტახტიც ღმერთსა იქა ედგა,  
გაჭირვებას შეკმიოდნენ.

\*

— „მაგრამ შვილო, ცოდვამ გვკითხა,  
ბოროტება გაგვიმრავლდა,  
ცოდვა უფრო გვემატება,  
სატანაიც გაგვიძალდა.

\*

— „პატარძალი პურს აცხობდა,  
წირვის ლავაშსა აკრავდა,  
ქვე ბალლსა წაეხდინა,  
ტირილით ბა თავს იკლავდა.

\*

ცომიანი ხელებითა,  
პატარძალმა ააყენა,  
ცხელ ლავაშით გაუწმინდა,  
ბავშვი ვარცლზე დააყენა“.

\*

„განრისხდა და გაწყრა ღმერთი,  
ცა ქვეყანას დააშორა,  
ვინდა ნახავს ახლა ღმერთსა,  
დიდმა ცოდვამ დაგვაშორა“.

\*

„ეხლა აბა რაღა გვეთქმის...  
კუდიანებს გაუხარდეს!..  
იალბუზი, ბრუტ-საბქელი,  
საბუქნაოდ გაიხადეს“.

\*

„გასწი, წალი, ბედი სტადე,  
რაც შუბლზედა გიწერია,  
დავალება შეასრულე,  
გზაცა მოკლე გირჩევნია“.

\*

„ფათერაკსა მოერიდე,  
არსად აგირევდეს გზასა,  
ყველა წყალი მტკვარსა ერთვის,  
თვითონ მტკვარი კასპის ზღვასა“.  
\*

„თავს ყოველდღე ივარცხნიდე,  
თფოფმა არ დაგძლიოსო,  
ადრიანა ნაყრდებოდე,  
გუბულმა არ დაგძლიოსო“.

\*


პირი სამჯერ გამოივლე,  
ეპენაშმა არ დაგძლიოსო,  
ახალ ყველსა დილით სჭამდე,  
კვირითნი არ დაგძლევსო.  
\*

„ლვინოცა აღრე დალიე,  
მერცხალმა არ დაგძლიოსო,  
დაინახო ქვაზე შესდეგ,  
რომ კვიცმაც არ დაგძლიოსო“.

\*

„გადააბრუნებდე ქვასა,  
ეფრანი რო დაინახო,  
მუგუზალი მოუქნიე,  
თუ რო ღამე მავნე ნახო“.

(დასასრული უემდებ)



# „პიგუნ დეიზინ“



ამბავი იაპონელი ბავშვისა, რომელმაც მო-  
ინდომა პირველი ვაჭარი გამხდარიყო ია-  
პონიაში.

მთხოვთ იაპონიის განთქმულ მწერლა-  
სა ჯენზე მურაისა.

## 1. შატიფის-მოუგარე ბავშვი.

ბატონი! ნება მიბოძეთ გყითხოთ!!  
ამ ხმის გაგონებაზე ერთი მშვე-  
ნივრად ჩატმული იაპონელი მობრუნ-  
და უკან და თვალ-წინ წარმოუდგა  
13 თუ 14 წლის ყმაწვილი, რომე-  
ლიც აჩქარებული ნაბიჯით უახლოვ-  
დებოდა მას.


— ბატონი ჩემო! ნება მიბოძეთ  
გყითხოთ — თქვენა ბრძანდებით განა  
დაიკავუის სავაჭრო სახლის პატრონი?

— დიახ, მე გახლავარ, — უპასუხა  
ვაჭარმა და განცვიფრებით დაუწყო  
ცქერა ამ ბავშვს. — რითი შემიძლიან  
გემსასუროთ თქვენ?

— მე მოვედი კადა-ნო-ურადგან,  
უთხრა ყმაწვილმა ზრდილობიანი თა-  
ვის მოხრით; — ერთი სათხოვარი  
მაქვს თქვენთან, რომლის შესრულე-  
ბით დიდს მოწყალებას მოიღებთ ჩემ-  
ზედ. ინებებთ თუ არა თქვენს მალა-  
ზიაში მიმილოთ შეგირდად?

— თქვენი თხოვნა ძალიან უცნაურია, ღიმილით უპა-  
სუხა დაიკავუიმ. — ამისსენით თუ ღმერთი გწამთ — რისთვის  
გინდათ, რომ უეჭველად ჩემთან დადგეთ შეგირდათ?

ყმაწვილმა მაღლა თავი აიღო. — ოჯ, ბატონო ჩემო თქვენი არა საგაჭრო სახლი უმთავრესია კუმანოში და მე მოხარული ვიქნებოდი თქვენი ხელმძღვანელობით გავწროვნილიყავი აქ.



— თქვენ გინდათ სა-  
ქმიანი კაცი დადგეთ".  
მეგობრულათ უპასუხა  
ვაჭარმა.

ამ სიტყვებზედ ყმა-  
წვილს სახე გაუწიოთლდა  
და წამოიძახა: — დიახ,  
მე მინდა დიდი ვაჭარი  
შევიქმნა იაპონიაში.

ვაჭარი დაიკაკუი ძა-  
ლაუნებურათ შეაჩერდა  
ყმაწვილის სახეს, რომე-  
ლზედაც აღბეჭდილიყო  
ჭკუა და პატიოსნება.  
მარილიანი გამომეტყვე-  
ლება სახისა, მკვირცხლი  
და ჭკვიანი თვალები  
ცხადათ ამტკიცებდნენ  
ბავშვის მტკიცე განზრა-  
ხვას; თუმცა ლარიბუ-

ლად ეცო, მაგრამ შეხედულობა და სიტყვა აშკარად ამტკი-  
ცებდა, რომ ეს ბავში უბრალო კაცის შვილი არ უნდა ყო-  
ფილიყო. გამოცდილმა ვაჭარმა ყველა ეს აღვილათ შეამჩნია  
და უთხრა:

— კარგი, ჩემო ბავშო! მაშ შენ გინდა დიდი ვაჭარი  
გახდე იაპონიაში? რასაკვირველია კარგი განზრახვაა, მაგრამ  
ვინემ მე მიგიღებდე — ჩემთვის საჭიროა თქვენი ამბავი გავიგო  
ვისგანმე, უამისოთ მე თქვენ ვერ მიგიღებთ, რადგანაც მე  
თქვენი ცნობა არა მაქვს. იქნება ნათესავი გყავდვთ ვინმე აქ?

— არა, ბატონო, მე არავის არ ვიცნობ — მიუგო ბავშვმა.

— აქამდის სადა სცხოვრობდით?

— მე ეს არის ეხლა მოვედი ჩემი სოფლიდგან. საქმე იმა-  
ში გახლოვთ, რომ მე დიდი ხანია გაგონილი მაქვს თქვენი ამ-



ბავი და, რადგანაც ჩქარია მინდოდა თქვენთან მობარეობა არ შეძლოს არა ვერ და საჩქაროთ გამოვწიო კუმანოში. მე აქ ნაცნობი არავინა მყავს, სრულიად არავინ. ჩემი მიზანი იყო მოვსულიყავი თქვენთან. ერთს კაცს გამოვკითხე თქვენი ბინა. სახლის მაგიერ პირდაპირ თქვენზედ მიმითითა და მეც ასე უცაბედათ და ცოტა არ იყოს უზრდელათაც მოგმართეთ თქვენ

ბავშვის გულწრფელმა ლაპარაკმა ძალიან კარგი შთაბეჭდილება მოახდინა ვაჭარზედ და უთხრა:

— კარგი, გავიგე რაშიაც არი საქმე. რადგანაც შენ აქ ნაცნობი არავინა გყავს, მე უამისოთაც ახლავე მიგილებ. სოქვა-ესა და ბავშვი მაშინვე სახლში წაიყვანა.

დაიკოკუა იყო მაუდის უდიდესი მაღაზიის პატრონი კუმანოში. მისვლისთანავე ვაჭარმა უკანა ოთახში შეიყვანა ყმაწვილი, ცოლს ცველაფერი უამბო და დაუძახა ბავშს.

— რა გქვიან, ბავშო?

— ბუნკიჩი მქვიან.

— დედ-მამა გყავს?

— მე არც დედა მყავს, არც მამა, მწუხარებით უპასუხა ბავშვმა და თვალებიდგან ცრემლები წამოსცვივდა.

მასპინძლებს ძალიან შეეცოდათ ბავშვი და დაწვრილებით გამოჰკითხეს მისი ობლობის ამბავი.

— სამი წელიწადია რაც დედა მომიკვდა, მამაჩემი კი ახლახან გარდაიცვალა.

— რა ხელობისანი იყენენ შენი დედ-მამა?

— მამა ჩემი ბატონ ვაკაიამასთან მსახურობდა და ჯამა გირში 800 კოკუ ბრინჯას იღებდა. მამას იგარაში ბუნზეიმონი ერქვა. როდესაც ცხონებულმა ადგილი დაკარგა, კადანოურაში გაღმოსახლდა, სადაც ძალიან ხელ-მოკლეთა ვცხოვრობდით. ამ გაჭირებაშიაც არ ავიწყდებოდა შეეტყობინებინა ჩემთვის, რომ ჩვენი ოჯახის წინაპარი იგარაში კობუნჯი იყო, რომელიც კამაკურაში მსახურობდა თურმე და მამაცობისთვის მიიღო წილება „მარჯვე მეომრისა“. „როდესაც შენ წამოიზრდები, შვილო, მეუბნებოდა ხოლმე ხშირათ მამაჩემი, შენ უნ-

და მიაღწიო დიქებას და ამითი დაიცვა პატივი შენი რეზაბრი სა; ჩვენი ცხოვრება ახლა მშვიდობიანათ მიმდინარეობს, ამი და ჩეუბი აღარსად არის, რომ ომიანობაში სახელი გაითქვა, ამისთვის ეცადე, რომ გახდე განთქმული ვაჭარი იაპონიისა და შენ ამითი აღამაღლებ შენს ოჯახს“. ასე მარიგებდა მამაჩემი და მალე, ამის შემდეგ, ძალიან ავათ გახდა და გარდიცვალა. ეხლა აი ამ მიზნით მოვედი კუმანოში ღა თქვენი კეთილი გულის დაიმედებით მე მსურს ვაჭრობა ვისწავლო.

მასპინძელმა ყურადღებით მოისმინა გულწრფელი ნალა-პარაკევი ბავშვისა და ცხადად გამოხატა თავისი აღტაცება.

— მე ტყუილათ არა ვფიქრობდი, რომ თქვენ უბრალო ჩამომავლობისა არ უნდა იყოთ მეთქი! თქვენი განზრახვა, ჩემო კარგო, დიდებულ ვაჭრათ შეიქნე იაპონიაში დაუფასებელი განძრახვაა. ანდაზა ამბობს: „თვით ჭიანჭველაც კი მიიღოცის ზეცისკენ“ და ადამიანისთვის ხომ ყველაფერი შესაძლებელია, რომელიც კი გულით მოეციდება თავის საქმეს. მე მინდა გითხრათ, რომ თქვენ ჯერ ძალიან პატარა ხართ, თუმცა კი დიდსაც გაუჭირდება მაგოდენა მანძილის გავლა, რაც თქვენ გამოგივლიათ კადა-ნო-ურადგან და თქვენი სიკუყა-პასუხიც მოზრდილის სიტყვა-პასუხის უდრის. ერთი ეს მითხარით რამდენი წლისა უნდა იყოთ თქვენ?

— თოთხმეტი წლისა გახლავართ, უპასუხა ყმაწვილმა.

— ნუ თუ მეტისა არ უნდა იყვეთ?

იქვე მდგომი დიასახლისი ნახულმა და გაგონილმა აღტაცებაში მოიყვანა.

ამ დროს გადიწევა ქაღალდის ფარდა და ოთახში შემოვარდება 11 წლის მშვენიერი ქალიშვილი. მისი თმა უკან ისე ხელოვნურად იყო შეკეცილი, რომ ნამდვილ პეპელას მოგაგონებდათ. იმან მიიჩნინა დედასთან, გაუშვირა თავისი პაწაწინა ხელები და მხიარულად უთხრა: „დედა, ცოტა ქადა მომეცი“.

— აბა რანაირად იქცევი, ჩემო კარგო, ეგრეთი ქცევა შენ არ შეგვენის. რას იფიქრებს შენს შესახებ ჩვენი ახალი პატარა მეგობარი. ამ სიტვევებზედ ქალიშვილი მიბრუნდა.



ყმაწვილისაკენ, შერცხვა და დაჯდა. დედა ოლერსიდა „შეაჩერთა მას და ჰქითხა: „აბა, შვილო, მიამბე რას აკეთებდი?“ სხვა აღამიანის ნახვით დარცხვენილმა ქალიშვილმა წასჩურჩული თავის დედას: „მე და სადაკიჩი ერთად ბაღში „ონის“ \*) ვთა-მაშობდით. მე აღარ მიყვარს საღოკიჩი: როცა ის იყო „ონი“, უკრივ მომწვდა და დამიჭირა.

— ეგ ხომ აგრე უნდა შვილო, როდესაც „ონის“ თამა-შობენ ხოლმე. ღიმილით უთხრა დედამ.

— ეგ მართალია, მაგრამ იგი ხშირად მიჭერს, იმას ნე-ბა არა აქვს ასე ხელი მახლოს, მე მასთან აღარ მინდა ვითა-მაშო.

— კარგი, თუ მაგრეა, ახლა ჩვენ სტუმარ ბუნკიჩისთან ითამაშე ხოლმე.

ბუნკიჩიმ სიამოვნებით მიიღო ეს ახალი წინადადება. პა-ტარა ქალმა შეჰქედა დედას და მერე ბუნკიჩისკენაც მიიხედ-„დედა! რამდენი ხანია—რაც ეგ აქ არის“? ჰქითხა ჩუმად ყმაწვილმა.

— დღეს მოვიდა. ძალიან კარგი ყმაწვილია და კარ-გი ქალი იქნები—თუ შენ მას ბალს აჩვენებ. მაგრამ ქალიშვი-ლი ისევ თავისას დაუბრუნდა და დედას ჩუმად კიდევ ქადა სთხოვა. დედამაც გამოალო პატარა კიდობანი და იქიდგან ქადა გამოილო და მიაწოდა თავის ქალიშვილს. ამან კიდევ შეაჭყი-ტა თვალები ბუნკიჩს და მოკურცხლა ბაღისაკენ.

— ფრთხილად, შვილო, ფეხი არაფერს წამოჰკრა, დაუ-ძახა დედამ.

— გეთაყვა, ყური უგდეთ, უთხრა დედამ ბუნკიჩის. ესეც წამოდგა მაშინკე და საჩქაროდ ქალიშვილს უკან გაჰყვა.

როგორც-კი ჩოჩო ვეჩეი ანუ „ხუჭუჭა პეპელა“ (როგორც ეძახდნენ ქალიშვილს დავარცხნილი თმის გამოისობით) შევი-და ბაღში, დაიწყო ჩხუბი ბავშვთან. „არა, არა, სადაკიჩი, მე თქვენთან აღარ ვითამაშებ. ჩვენსა ერთი ახალი მოსული ყმა-

\*) კეკემალულობის მგზავსი თამაშობაა.

წვილია და დედამ მითხრა — ის კარგი ყმაწვილია და მომაშენებულია ითამაშეო.

— როგორ! სხვა ბავშვი მოვიდა ვინმე?

— დიახ, აერ აქა დგას, ზადით და დაუძახეთ. სადაცი-  
ჩი მიუახლოვდა და უთხრა ბუნკიჩის:

— ოქვენ მანდ გეტას \*) იპოვნით და შემოხვალთ აქ.

ბუნკიჩი შევიდა ბაღში.

ეს იყო პატარია ბაღი, საიდგანაც მშვენივრად მოჩანდა-  
კუმანოს იქით ზღვის ყურე.

— ახლა? ჩვენ სამივემ ვითამაშოთ „ონი“?

— არა, — უპასუხა ქალიშვილმა — თქვენ სუ-მუდამ მიჭერთ-  
ხოლმე და ახლა მე თქვენთან აღარა მსურს ვითამაშო.

— თუ ასე არ მოგწონთ, აღარ დაგიჭერთ.

— სულ ერთია — მე თქვენთან აღარ მინდა თამაშობა.

ბუნკიჩის უეცრივ თავში ერთი აზრი მოუვიდა და მიმარ-  
თა ქალიშვილს:

— არ გინდათ, რომ გაგიკეთოთ რამე? მე რომ დანა  
მქონდეს და ლერწამი მე თქვენ გაგიკეთებდით რასმე.

ქალიშვილი ძალიან გაიტაცა ცნობის-მოყვაოეობამ და  
უთხრა სადაციჩის: წადით და ყველაფერი, რაც რამ საჭიროა  
მოუტანეთ.

სადაციჩიმ მოიტანა დანა და რამდენიმე ლერწამი  
და შეეკითხა: „აბა, რა გინდათ რომ გააკეთოთ“?

— მე მშვენიერ ლერწამის ჭრიჭინას გავაკეთებ, მოუგო  
ბუნკიჩიმ. აიღო დანა, გააპო ლერწამი, გათალა იგი და შეუ-  
ში პატარა ჩხირი (სოლი) ჩაურჭო.

სადაციჩი აღვილად მიხვდა რაც იყო და სთქვა: —  
აა, მე ვიცი, ვიცი — ეგ ჭრიჭინაა. ერთხელ მე „ბანტონ-  
თან \*\*\*) ერთათ კადა.ნო-ურაში წავედი და იქ ვნახე რო-  
გორ ათამაშებდნენ ამ ჭრიჭინებს. იქ ერთი ბავშვიც ვნახე,  
რომელიც ჰყიდდა ამ ჭრიჭინებს და ის ბავშვი თქვენ ძალიანა-  
გგავდათ.

\*) ხის ფეხსაცმელია. — ქოშებივით.

\*\*) გამგებელი საფაჭრო სახლისა.

ბუნკიჩი სრულიადაც არ შეკრთა და უთხრა: — დოიბ  
თქვენ მართალსა ბრძანებთ; სწორეთ მე ვარ ის ბავში; მე ვა-  
კეთებდი ჭრიჭანებსა და ვყიდდი კიდეც.

— ოჰო, მაშ თქვენა ბრძანდებით ჭრიჭინების გამყიდავი  
ვაჟბატონი? ზიზღიანი ღიმილით წამოროშა საღიყიჩიმ.

— თქვენ მაგრე რათა ლაპარაკობთ, შენიშვა გულ-მო-  
სულმა ქალიშვილმა და მერე მიუბრუნდა ბუნკიჩის: — თქვენ  
რამ გაიძულათ ამაების გაყიდვა?

— რამ მაიძულა და იმან, რომ მამაჩემი ლოგინათ იყო  
ჩავარდნილი, მიუგო ყმაწვილმა და თან ლერწამსა სთლიდა.  
ჩვენი ოჯახი ძალიან გაჭირებაში იყო და მე იძულებული ვი-  
ყავი მევაჭრა ამითი და მოგებული ფულით ბრინჯი და წამა-  
ლი მეყიდნა.

თუმცა ჩოხო პატარა იყო, მაგრამ ამ გრძნობით წარმო-  
თქმულმა ამბაემა, ამ კეთილ-შობილურმა დამოკიდებულობაშ  
მამასა და შვილის შორის, დიდი თანაგრძნობა და პატივისცე-  
მა გამოიწვია ბუნკიჩისადმი.



— ოჰო, რა კარ-  
გათ მოქცეულხართ  
— სთქვა ქალმა სა-  
დაკიჩი! თქვენ ხომ  
ასე არ მოიქცეოდით?

— მაშ არ იცით.  
რომ მეც ასე მოვი-  
ქცეოდი; მაგრამ სა-  
ქმე იმაშია, რომ მე  
ისეთი გაჭირება არ  
მექნებოდა, რომ ჭრი-  
ჭინებით ვაჭრობა და-  
მეწყო. გაჭირებაში კი  
ჩვენი მაღაზიიდგან  
ტანისამოსს გავყი-  
დლი.

ბუნკიჩიმ გაათავა  
თავისი სამუშაო; ჭრი-  
ჭინა ხელებს შუა და-

იჭირა და ისე გაუშვა. იგი წავიდა სისინით სულ მაღლა, მაღლა  
ჰაერში და დაეცა დედამიწაზედ ხუთ-ექვს ნაბიჯზედ ამადგან.

— სწორეთ ნამდვილ ჭრიჭინასა ჰგავს! წამოიყვირა ყმაწვილ მა აღტაცებით — მე მომეცით. აილო ხელში, ცდილობდა როგორმე აფთრინა მაღლა, მაგრამ დიდს მანძილზედ ვერ გასრიალა.

სადაკიჩიმაც მოინდომა თავისი მარდობა გამოეჩინა და მიმართა:

— აბა, ახლა მე მომეცით, მე უფრო უკეთესათ გავასრიალებ მაგას; დაიჭირა ჭრიჭინა ორივე ხელით და გაუშვა მაღლა ჰაერში. — აი, აი დაინახეთ — რა მაღლა-მაღლა მიდის!

მაშინ, როდესაც ქალიშვილი აღტაცებით აკვირდებოდა, ჭრიჭინა გადაეშვა ყორეს და ჩავარდა წყალში. სამივენი იქით-კენ გაიქცნენ. გაცვივდნენ ბალის პატარა კარებიდგან, გაიარეს მიწის ყორე, დადგნენ ბოგირზედ და დაუწყეს ცქერა წყალში მოტივტივებულ ჭრიჭინას.

— ოჳ, რანაირათ მინდა, რომ აქეთ მოცურდეს, და ხელში ჩავიგდო, სოქვა ყმაწვილმა. ჭრიჭინა ტალღამ ნელნელა გააცურა იქით.

— გაფრთხილდით, ყმაწვილო! წარმოსთქვა სადაკიჩიმ:

ბუნკიჩიმ ქვის ყორესთან პატარა ნავი დაინახა და უთხრა სადაკიჩის: „მე ამ საათში ამ ნავში ჩავჯდები და დავიგჰერ ჭრიჭინას. ის იყო უნდა ჩამჯდარიყო ნავში, რომ სადაკიჩიმ უვაყენა.

— არა, არა, ნაპირს ნუ მოშორდებით, თორემ იცოდეთ, რომ ვანიზამის \* ) მსხვერპლი გახდებით

— მართალია, მართალი, სოქვა ქალიშვილმა. აქ უზარ-მაზარი ვანიზამია და ეს არ შეგიშვებთ ზღვაში. გუშინაც ვიღაც კაცი გადაუყლაპავს მას.

— ის ლუდ-ხანაში მოსამსახურე იყო, სოქვა სადაკიჩიმ. — საწყალს რამდენიმე ბოჭკა ლუდი ჩაელაგებინა ნავში; ასე 200 თუ 300 ნაბიჯი რომ გაიარა, გამოცურდა ნათელ-თევზა (აკულა), გადაუბრუნა ნავი და კაცი კი გადაყლაპა.

— რა უშავს, დაიკარგოს ჭრიჭინა, მე აღარ მინდა,

\* ) ვანიზამი ნიჩნავს დიდ ნათელ-თევზას — აკულას.



ახლა შინ წავიდეთ, სოქვა შეშინებულმა ქალიშვილების კიდა ხელი ბუნკიჩის.

ბუნკიჩიმ პირველათ გაიგონა ვანიზამის ამბავი.

— და განა ეგ მართალია, რომ ზღვის ყურეში სცხოვრობს ვანიზამი? იკითხა მან.

— მართალია, მაშ! მე ვერ ჩამოგითვლით ამ ოვის განმავლობაში რამდენი ადამიანი იმსხვერპლა მაგან.

— მართლა! ნუ თუ მაგეთი დიდია?

— მე არ ვიცი—დიდს რას ეძახით! ჩერია ლაპარაკში სადაკიჩი.—უნდა გითხრა, რომ ამ სახლის ოდენა იქნება. შენიშვნავს თუ არა პატარა ნავს, მივარდება ხოლმე და გადააბრუნებს, დიდს ნავს კი წინ ელობება, აჩერებს... საწყალი მეთევზები ვეღარა ბედავენ მისვლა-მოსვლას და ტვირთის გადატანას ნავთსადგურში. მე ვფიქრობ, რომ ნათელ-თევზი აქ უსაჭმელობისა გამო დაბინავდა, მაგრამ ასე თუ ისე ზღვაში შიშით ვეღარავინ შედის. აი როგორც გუშინ ლუდ-ხანის კაცს მოუვიდა. „მას ეგონა უშიშრად გაივლიდა ზღვას და ის კი არა თუ იმ შეჩვენებულის მსხვერპლი შეიქმნა. ამის მიზეზით თევზაობა მოისპო, ვაჭრობა შედგა და მთელი ეს ადგილი ტიალდება. განა არა, მეთევზებსა და მონადირეებს უნდოდათ მისი მოკვლა, მაგრამ სურვილი ისევ სურვილათ დარჩა. იარალი ან ტყდება, ან ასხლტება ხოლმე მის ზურგს და თითონ კი იღუპებიან და ამისთვისაც თავი დაანებეს თავის განძრახვას.

ბუნკიჩი ყურადღებით ისმენდა ყოველივე სიტყვას სადაკიჩისას და მერე თითქო რაღაც გადაწყვეტილებას დაადგა და გასწია შინისკენ და წარუდგა პატრონს.

ალ. ნათაძე.

(გაგრძელება იქნება).



## ტორთი და ქვა-ნახშირი.



დამიანი მუდმივ იყო და არი ბრძოლაში ბუნების დასამორჩილებლად და ბუნების სიმდიდრის თავის სასარგებლოდ გამოსაყენებლად. ბევრ გვარად დაიმორჩილა ადამიანმა ბუნება და ბევრ გვარად გაიადვილა ამნაირად მან თავის ცხოვრება. ადამიანის გონება თითქმის ყოველ ბუნების საიდუმლოს მისწვდა, დაიმონავა იგი და თავის ცხოვრების გასაუმჯობესებელ ძალად გადააჭირა. წყალი, ცეცხლი, ორთქლი, ჰაერი, ელექტრონი-ყველა თავის სასარგებლოთ გამოიყენა დედამიწის ქვეშ დაფარულ ნივთიერება თავის მძლავრი ხელით მისწვდა და ზევით ამოიტანა. მაღალ და წინათ მიუწლომელ მთებს გულში შეუძვრა და მთებში უხვად შენახული სასარგებლო მაღნეულობა გამოიტანა: რკინა, სპილენძი, ვერცხლი, ოქრო და სხვა და სხვა გვარი ძვირფასი ქვები ყოვლად უსარგებლოთ მთებში ჩაფლული, ბევრი ჯაფის და შრომის შემდეგ თვითონ დაისაკუთრა და ხმა-რობს თავის სასარგებლოდ.

როდესაც სამუშაო ძალა დასჭირდა, ჯერ ორთქლი და ბერმეთ ელექტრონი გამოიყენა; როდესაც სინათლე დასჭირდა მიწის შიგნიდან ამომჩევე ნავთს მიმართა; სითბოსთვის კი ჯერ ხე-ტყეს მიადგა და როცა ის აღარ ეყო, ტორთი და



ქვა-ნახშირი ამოაძვრინა მიწიდან. დედა-მიწის ზურგზე მარავა-ლი ქარხანა ააგო ბუნების სიმღიდრის თავის სასალგებლოთ გამოსაყენებლათ. ქარხნებში მრავალი, ორთქლის მანქანები მუშაობენ ხომ იცით, ორთქლით მხოლოდ მაშინ გადიქცევა წყალი, თუ იმას აადუღებთ და აბა იფიქრეთ, რამდენი უშა დასკირდება ადამიანს ამ მანქანების მოძრაობაში მოსაყვანათ. ზოგან ხე-ტყე შემოაკლდა, ზოგან კი ვერ გამოიმეტა დასაწველად მშვენიერი ტყეები და ალარ იცოდა რა ექნა, მაგრამ აქაც მისმა გამჭრიახმა ქკუამ უჩვენა საშუალება. გადაავლო თვალი მან მთა-გორებს, ჩაიკვრიტა მიწის გულში და კაობებ-ში, ამოძებნა იქ მრავალი ტორფი და ქვა-ნახშირი და მაშინ კი თავისუფლათ ამოისუნთქა, რადგანაც ეს ორივე ხე-ტყის მაგიერობას გაუწევდა. ორივე ნივთიერება ისე ბლომათ აღ-მოჩნდა, რომ შიში ალარ იყო სათბობი მასალა შემოჰკლებოდა. ხედავთ, რა დიდი სამსახური გაუწია ტორფმა და ქვა-ნახშირმა ადამიანს! გინდათ გაიცნოთ ეს ადამიანის დამსახურებული თანაშემწევები? კარგად დამიგდეთ ყური და ორივე გაგაცრობთ.

ბევრს ალაგას დედა მიწის ზურგზე არის ჭაობი ადგილები. ეს ჭიობიანი ადგილები ადრე ნამდვილი ჭაობები იყვნენ მათ ზემოდგან ხავსი ჰქონდათ მოკიდებული. ხავსი ბოლოს ხმებოდა და წყლის ფსკერზე ეშვებოდა, იქ ლპებოდა და ჭაობის ფსკერს ასუქებდა. გასუქებული ჭაობის ფსკერიდან ამოდიოდა მაშინ უფრო სხვა გვარი ბალახები და ბალახის მსგავსი მცენარეები, რომელნიც ზაფხულობით თავის ღერძს და ყვავილებიან ტოტებს წყლის ზევიო ამოუშვებდა და ფესვებით კი ჭაობის ფსკერს ებლაუკებოდა. ზამთარში კი ეს მცენარეებს ხმებოდნენ და იქვე, ჭაობის ფსკერში იმარხებოდენ. განვლო მრავალმა საუკუნოებმა. ამ ჭიობებზე იბალებოდენ ყოველ ზაფხულს სხვა და სხვა მცენარეები და ზამთარს კვდებოდნენ და თანდათან ავსებდნენ ჭაობის სილრმეს. ფსკერში ჩაღუპული მცენარეები ერთმანერთს აწვებოდნენ, ზემო ნაკეცები ქვემო ნაკეცებს ამძიმებდნენ და ყველა ისინი ნელა-ნელა ლპებოდნენ წყალ ქვეშ. მცენარე ჰაერზე ლპება, ის სულ

ერთიანად მტლედ იქცევა, მისგან სრულებით აღარ გამოიყენოთ რჩება, გარდა მიწის სასუქისა. ის მიწად იქცევა; სულ სხვაა, როცა მცენარე უჰაერო წყლის ქვეშ ლპება, მაშინ მცენარე მხოლოდ შავდება, ნახშირდება და მაგრდება; ის მაშინ მიწის ნიადაგად კი არ იქცევა, მხოლოდ ნახშირად იქცევა, რომელიც ნახშირივით იწვის. ჭაობის ფსკერზე დაშვებულ მცენარეებს იგივე ემართებათ, ის მიწად კი არ იქცევა, არამედ ნახშირად, რომელიც წყალშია გახსნილი, და წარმოადგენს ნახშირის ფაფათ აი ამ ნახშირის ფაფას ამოილებენ მიწიდან, აგურის მოყვანილობას მისცემენ, გააშრობენ მზეზე, ან კიდევ განგებ ამათ საშრობლად გაკეთებულ ფეხში და შემდეგ ხმარობენ შეშის მაგივრათ. აი ეს არის ტორფი.

ამგვარათვე ჩნდება ქვა-ნახშირი, რაზედაც შემდეგიამბობთ.

ე. ჭ.




# სახელმწიფო წერძილება

## ინგლისში.



ოფორც პირველ წერძილში დავინახეთ,  
 ინგლისის მთავრობას წარმოადგენენ მე-  
 ფე, სამინისტრო და პარლამენტი. პარ-  
 ლამენტს შეადგენს ორი პალატა: ლორ-  
 დების პალატა და დეპუტატების პალატა.  
 ხალხის ნამდვილი და პირდაპირი წარმო-

მადგენელი არის დეპუტატების პალატა, რაღანაც დეპუტა-  
 ტებს ირჩევს თვითონ ხალხი და გზავნის მათ პალატაში ხალ-  
 ხისავე სურვილებისა და მისწრაფებათა განსახორციელებლათ.  
 აღმასრულებელ ძალას ინგლისში წარმოადგენს მეფე, ხოლო  
 მეფე ყოველისფერს აკეთებს მინისტრების შემწეობით. მინის-  
 ტრებმა თავის მოქმედებაში მტკიცეთ უნდა დაიცვან სახელ-  
 მწიფოს კანონები, ისინი პასუხის მგებელნი არიან როგორც  
 პარლამენტის ისე სასამართლოს წინაშე. თუ მინისტრმა ან  
 სამინისტრომ კანონი დაარღვია, მათ სასამართლოს წინაშე  
 უნდა აგონ პასუხი; თუ რომელიმე მინისტრის ან სამინისტროს  
 მოქმედება მოელს სახელმწიფოს ზიანს აყენებს, მათ პასუხი  
 უნდა აგონ პარლამენტის წინაშე. ამგვარ სამინისტროს ეწო-  
 დება პასუხის მგებელი სამინისტრო. მინისტრები უეჭველათ  
 უნდა იყვენ პარლამენტის წევრებიც. პირველ მინისტრს ირ-  
 ჩევს თვითონ მეფე დეპუტატთა შორის იმ პარტიიდან, რომე-  
 ლიც პალატაში უფრო მრავალ რიცხოვანია. პირველ მინის-  
 ტრს ეწოდება პრემიერი. პრემიერი შემდეგ თვითონ ირჩევს  
 დეპუტატთა შორის თავის ამხანაგებს. ყველა მინისტრები ერ-



თათ შეადგენენ კაბინეტს. მინისტრები განაგებენ სახელმწიფო ფონდების ისე, როგორც ეს ოღნიშვნული და განსაზღვრულია კანონებში. მეფე კი ხელმძღვანელობას უწევს სამინისტროს. ვთქვათ სამინისტრომ კანონი გადაღახა, დაარღვია. პარლამენტი მაშინათვე მოითხოვს სამინისტროს გადადგომას და სამინისტრომ სამსახურს თავი უსდა დაანებოს.

მეფე პისუხის მეფებელი არ არის პარლამენტის წინაშე. მას შეუძლია, სხვა და სხვა განკარგულება მოახდინოს, ესა თუ ის ბრძანება გამოსცეს კანონის სამზღვრებში, ხოლო ყოფილ იმის განკარგულებასა და ბრძანებაზე შესაფერ მინისტრი უნდა ჰქონდეს ხელი მოწერილი, — ამას ითხოვს ინგლისის კანონი. თუ მინისტრმა მეფის ისეთ განკარგულებას მოაწერა ხელი, რაც ინგლისის კანონებს არ შეესაბამება, მაშინ პარლამენტი მინისტრს მოსთხოვს პასუხს, მას სამსახურიდან დაითხოვს, პასუხის გებაში მისცემს. ამ მიზეზებისა გამო ვერც მეფე და ვერც მინისტრები ინგლისში კანონს ვერ გადააბიჯებენ, ისინი კანონის მორჩილი არიან, — ინგლისში კანონი თვით მეფეზე მაღლა სდგას. პარლამენტს ირჩევს ხალხი შვიდის წლის ვადით. მეფეს უფლება აქვს პარლამენტი ვადაზე ადრე დაითხოვოს, თუ ეს საჭიროთ დაინახა, და ახალი არჩევნები მოახდენინოს.

მაშასადამე მეფეს შეუძლია, ყოველთვის დაითხოვოს ის პარლამენტი, რომელიც მას არ მოეწონებათ, იფიქრებს მკითხველი. საქმეც იმაშია, რომ არ შეუძლია და აი რატომ. სახელმწიფო ხარჯთ-აღრიცხვას ანუ ბიუჯეტს ინგლისში ამტკიცებს პარლამენტი. ბიუჯეტის დაუმტკიცებლათ სამინისტრო ერთ კაპეიკაც ვერ დახარჯავს. თუ მეფემ პარლამენტის დათხოვა მოინდომა, პარლამენტი ბიუჯეტს არ დაამტკიცებს და ამით მეფესა და სამინისტროს ხელფეხს შეუკრავს. ინგლისში პარლამენტს მხოლოთ მაშინ ითხოვს მეფე ვადაზე ადრე, როცა ეს თვითონ პარლამენტის სურვილი და ნებაა. პარლამენტს ხალხი ირჩევს შვიდი წლის ვადით. შვიდ წელიწადში კი შესაძლებელია, ხალხის სურვილები და მისწრაფებანი იმდენათ შეიცვალოს, რომ პარლამენტი აღარ იყოს მათი ჭეშ-



მარიტი გამომხატველი. მაშინ თვითონ პარლამენტი მოიწოდეს ხოლმე დაშლას და ახალი არჩევნების მოხდენას, რომ ხალხმა ისეთი პარლამენტი აირჩიოს, როგორიც მას უნდა. ამგვარათ ხალხის ნება, ხალხის სურვილი ინგლისში უმაღლესი კანონია.

პარლამენტის გახსნის დროს ორივე პალატის წევრები ე. ი. ლორდები და დეპუტატები ერთათ იკრიბებიან. შემდეგ კი ორივე პალატა ცალ-ცალკე იკრიბება. სხდომების დაწყებისათანავე დეპუტატების პალატა იჩენება თავმჯდომარეს ანუ სპიკერს. ახლათ არჩეული სპიკერი უნდა წავიდეს ლორდების პალატაში, საცა მას გამოუცხადებენ: მეფე თანაუგრძნობს თქვენს არჩევასო.

პარლამენტის გახსნის დროს მეფე პირადათ ან პირველი მინისტრი მეფის მაგიერ ამბობს სიტყვას; ამ სიტყვაში ჩამოთვლილია ის ზომები, რომელთა განხორციელებაც მთავრობას საჭიროა მიაჩნია.

პალატის სხდომების დაწყებისა თანავე დეპუტატები შეიმუშავებენ ხოლმე მეფის სიტყვის საპასუხო ადრესს. თუ საპასუხო ადრესი მეფის სიტყვის წინააღმდეგი იქნა, ეს იმას ნიშნავს, რომ პალატა არ თანაუგრძნობს მთავრობას ე. ი. სამინისტროს პოლიტიკას. ამგვარ შემთხვევაში სამინისტრო უნდა გადადგეს. პალატის სხდომები იწყება ნაშუადღევის სამ საათ. ზე და გრძელდება შუალამემდე, ხან უფრო მეტს. ყოველი სხდომის წინ მღვდელი კითხულობს ლოცვებს. სხდომებზე დეპუტატებს ქუდები ახურავთ, ხოლო ქუდი უნდა მოიხადონ ლაპარაკის დროს, აგრეთვე მაშინ, როცა პალატაში შედიან, ან გამოიიან იქიდან. პალატაში კანონ-პროექტები შეაქვს სამინისტროს. როცა კანონ-პროექტს პირველათ კითხულობს მინისტრი და აცნობებს მას დეპუტატებს, კამათი არ შეიძლება. პალატა ნიშნავს დღეს კანონპროექტის მეორეთ წაკითხვისას და მაშინ იმართება კამათი. კამათის დროს ყოველ ორატორს მხოლოდ ერთხელ ლაპარაკის უფლვბა აქვს. პარლამენტი წარდგენილ კანონპროექტს ეწოდება ბილი. დეპუტატთა პალატა რომ მიიღებს მთავრობის მიერ შემუშავებულ რაიმე კანონს, ეს კანონი გარდაეცემა ლორდების პალატას. თუ ლორ-

დების პალატამ დაამტკიცა ეს კანონი, მაშინ მას ადასტურებულ მეფე და კანონი ძალაში შედის, ის სავალდებულო ხდება.

როგორც ზევითა ვსთქვით, მეფე თვითონ ირჩევს პირველ მინისტრს დეპუტატ უ პალატის იმ პარტიიდან, რომელიც უფრო ძლიერია პარლამენტში რიცხვით. პირველი მინისტრი კი თვითონ ირჩევს დანარჩენ მინისტრებს დეპუტატებიდან. ამგვარად უმეტეს შემთხვევაში მინისტრები ეკუთვნიან პარლამენტის ძლიერ პარტიას; ამიტომ ისინი ახორციელებენ ამ პარტიის პროგრამას.

ამას გარდა სამინისტროს ბედ-ილბალი დამოკიდებულია პარლამენტის ძლიერ პარტიაზე, რომელსაც ყოველ წამს შეუძლია სამინისტროს დათხოვნა. ამიტომ ინგლისის საქმეებს აწესრიგებს და განავებს ის პარტია, რომელიც პარლამენტში უფრო ძლიერია და მრავალ რიცხვოვანი.

თავისუფლება არსად არ არის იმდენათ განმტკიცებული და კანონიერება არსად არ არის იმდენათ დაცული, როგორც ინგლისში.

ინგლისში პიროვნება ხელ-შეუხებელია; ხელ-შეუხებელია მისი ბინაც. ჩუქეთში ყოველ პოლიციელს შეუძლია, ხელი გტაცოსთ და ციხეში ამოგაყოფიოს თავი; ან სახლში შამოგივარდეს და გაგჩხრიკოს. ინგლისში ამგვარი რამ შეუძლებელია. ინგლისში მოქალაქის დაპატიმრება ან მისი ბინის გაჩხრეკი შეიძლება მხოლოთ სასამართლოს გარდაწყვეტილებით. სასამართლო კი ინგლისში მთავრობისაგან დამოუკიდებელია, — მისი ზედამხედველი მხოლოთ ხალხია და ამიტომ ისიც მხოლოთ ხალხის ინტერესებს იცავს.

ინგლისში სინიდისის სრული თავისუფლება არსებობს ისე როგორც სიტყვისა და წერის თავისუფლება.

ინგლისში სრული თავისუფლებაა კრებისა და კავშირებისა. ყოველ მოქალაქეს შეუძლია, როცა უნდა, მაშინ გამართოს კრება ან სხვებთან ერთათ დაარსოს რაიმე კავშირი. ის ამისათვის პოლიციას არა სთხოვს ნებართვას, ვერც პოლიცია დაუშლის ვერაფერს. თუ კრებამ ან კავშირმა კენონი დაარღვია, დამნაშავეებს სასამართლო ასამართლებს. ამგვარ სახელ-



მწიფოს ეწოდება უფლებრივი სახელმწიფო; ყოველზოგან სელი არის მოქალაქე და არა ქვეშევრდომი, ყოველი ინგლის სელსა აქვს განსაზღვრული პოლიტიკური უფლებები და ამ უფლებებს თავისი ნებით ვერ წაართმევს და ვერ შელახავს ვერც მთავრობა, ვერც მეფე. ამგვარი წყობილების წყალობით ინგლისში ხალხის კეთილდღეობა ბევრით მეტია, ვიდრე სხვა-გან. ინგლისელი მუშა შედარებით უფრო ცოტა დროს მუ-შაობს, ვიდრე სხვა სახელმწიფოებში, და ამავე დროს ბევრით უფრო უზრუნველყოფილია, ვიდრე სხვაგან. რაც დრო გადის დემოკრატიული წყობილება ინგლისში თანდათან უფრო ძლიერდება და ხალხის კეთილდღეობაც უფრო მატულობს.

ივ. გომართელი.

(დასასრული)





1) ალუატი ანუ რუხ-წითელა ლრიალა; *Mycetes semiculus*. საშინელი ზარმაცი და დუხტირია, ზანტათ დაიარება ზის ტოტებზე და მალ მალ იშველიებს კუდს ტოტის ჩასაბლუ-ჯათ. როცა პარაგვაილები ამათზე ნადარობენ მაშინ-კი ძრიელ გარბიან და თანაც მეტის შიშით საშინლად ააყროლებენ ხოლ-მე იქაურობას. ამათვე ძრიელ ემტერება ქოჩორი არწივი.

2) შავი ლრიალა, *Mycetes niger*. ბალანი უფრო გრძელი აქვს და სრულებით შავი ფერისა. კატის ოდენაა, კუდი იმა-ვე სიგძისაა, რაც ტანი. ლრიალებს საზოგადოთ დღისით უყვართ მალალ ხეებზე განკრემომა, ხოლო ბინდისას გროვდებიან და-ბალ ხეების ტევრზე და აქ ხშირ ბარდებში რჩებიან ლამე.

### მეორე გვარი

#### ობობა მაიმუნები

ამ გვარის მაიმუნები მართლაც და ისე ძრიელ ჰგვანან ლბობას, რომ არა სწავლული კაციც-კი პირველ შეხედითვე დაარქმევდა ამ სახელს.

**ობობა მაიმუნები:** *Ateles* კატის ტოლა ძლივს იქნებიან, ხოლო კუდი ტანზე უფრო გრძელი აქვთ. სცხოვრობენ უმაღ-ლეს ხეების კინწეროებში, სამხრეთ ამერიკაში.

ამათი წარმომადგენელნი არიან:

1) კოატა, *Ateles paniscus..*

2) მარიმონდა, *Ateles beelzibuth*. სცხოვრებენ გვიანაში.


3) ჩამეკი *Ateles pentadactylus* შესანიშნავი—განთხრო-მილი წოლა იცის ხეზე, სცხოვრობს პანამის ულელტეხილზე.

4) მირიკი, *Ateles hypoxanthus* სცხოვრობს შუა ბრაზი-ლიაში.

5, ოქროს შუბლა მაიმუნი, *Ateles bartlettus*. თავის გვარის მაიმუნებში ყველაზედ ლამაზია. დიდი ხანი არ არის რაც ეს მაიმუნი აღმოაჩინა და აღწერა უმცროსმა ძარტლეტმა და ამ მეცნიერის პატივის საცემად სახელიც მისი უწოდეს. შუბლზედ ოქროს ფერი მოყვითალო ზოლი არტყია, ამ მი-



ზეზით დაერქვა ოქროს შუბლა. ბეწვი ფერადებით გამჭვირის შემცირებული. სცხოვრობს აღმოსავლეთ პერუში.



### ჩ ა მ ე კ ი

საზოგადოთ ობობა მაიმუნებს მოძრაობა უფრო მარტი და ცოცხალი აქვთ და სასიამოვნო სანახავისაც არიან, ვიდრე ღრიალები. მეტადრე უკეთ სანახავია როცა მაღალ ხის კინ-წეროებზე მთელი ხროვა ობობა მაიმუნებისა კუდებით არიან ჩამოკიდულნი მწკრივ-მწკრივათ.

მესამე გაზრი.

კუდწმახნია მაიმუნები

Cebus.

ამ გვარის მაიმუნებს ხშირად შეხვდებით ტყვეობაში, ეკ-რობის ზოოლოგიურ ბაღებში. თავის მხიარული ხასიათით ძრიელ ჰგვანან მარკატებს, ამიტომაც ზოგნი აშერისელ მარკატებად იხსენიებენ ამათ.



კუდწმაწნია მაიმუნებში უფრო ცნობილ არიან: გუარანელთა გუარანელთა

1. კაი ანუ კაპუცინი, *Cebus. Capucinus.* გუარანელთა ენაზე სიტყვა „კაი“ ნიშნავს „ტყის მცხოვრებს“ სიდიდით კატას ძლიერ უდრის, კუდიც თითქმის იმ სიგრძეა რაც ტანი (35 სანტ.), კაპუცინები იმითი განირჩევიან, რომ ღია პირის ფერი შუბლი პატარაობიდანვე ტიტველი აქვთ, ლრმათ დალარულ—დანაოჭებული, სცხოვრობენ სამხრეთ ბრაზილიის ტყეებში.

2. აპელლა ანუ რუხი კუდწმნახია მაიმუნი, *Cebus appella*, სცხოვრობს გვიანაში, სიდიდით კაპუცინს არ აღემატება.

შომბურგმა ერთხელ შემთხვევით ნახა ამ მაიმუნების ხროვა 400—500 ერთად, ხესთან იყო თითონ ატუზული, მაგრამ როცა ამოჟენა პრანქია მასხარები ერთად ნახა, სიცილი ვეღარ შეიმაგრა, მის ხარხარზე იგრიალა მთელმა ზროვამ დახის ტოტების ჭახა-ჭუხზე-და ეტყობოდა რა სისწრაფით გარბოდა დამფრთხალი აპელების სროვა.

აპელები ხშირი სანახავნი არიან ევროპის ზოოლოგიურ ბაღებში, მეტადრე მაწანწალა მემუზიკებს არლანთან ერთად აპელაც დაჰყავთ, რომელიც დიდათ შველის თავის პატრონს თითო-ოროლა გროვის მოკრეფაში.

3. ფავნი, *Cebus fatuelus*, შესანიშნავია იმითი, რომ თავზე შვი ქოჩორი აქვს ორად გაყოფილი.


### მეოთხე გვარი

#### საკები, *Pithecia.*

#### მელისკუდა მაიმუნები


(*Pitheciidae*)

საკები ანუ მელისკუდა მაიმუნები სცხოვრობენ სამხრეთ ამერიკის დაბურულ ტყეებში, კუდი მართლაც მელიას მიუგავთ — ბეწვმრავალია და ფუნჩულა. მრგვალთავზე ხშირი თმა ნაბდის ჭუდივით აძევთ, თანაც შუაზე გაყოფილი აქვთ თითქოს განგებ დაუვარცხნიათო. ლაწვებზე და ნიკაპზე ხშირი თმა ძრიელ გრძლად.



შომბურგი მოგვითხრობს: „ამერიკაში მოგზავრობის დროს, როცა მდინარეებზე დავცურაობდი, სადაც კი ნაპირებზე დაბურული ტყე იყო, იქ უეპველად შემხვდებოდა ხის ტოტებზე კოხტად წამოსკუპებული მთელი ჯოგი ლამაზ საკებისა. შედარებით მართლაც რო სასიამოვნო სანახვები არიან; ჰკვიანურ სახეს უმშვენებსთ გრძელი წყერი და თავზედ დავარცხნილი ხშირი თმა; ფუნჩულა კულიც მელიას მიუგად“.

ამავე ოჯახს ეკუთვნიან:



1) კუკსიონ ანუ **სატანა მაიმუნი** Pithecia Satanus ცხოვრობს დიდ ტყეებში მდ. მარანიონას და ორინოკოს სა-თავებში.

კეპლერი ამბობს: „ვერც ერთი თავმომწონე ყმაწვილი კაცი ვერ დაიკვეხებს, ისე შნოიანად დაიგარცხნოს ხშირი თმა და დიდი წვერი, როგორც ეს ლამაზი მაიმუნი ახერხებს.. თმა ჯერ ქოჩრიდან ყველა მხრისკენ ჩავარცხნილია, ხოლო წინ კი იყოფება, გვიანაში ამ მაიმუნს შოუ-ს ეძახიან.“

2) **თეთრთავა მაიმუნი**, Pithecia lancephala. ცხოვრობს მდინარე ამაზონის ნაპირებზე. უფრო ბუჩქნარი უყვარს, ვიდრე მაღალი ხეები. კეპლერი ამბობს: დედას ზურგით დაჭყავსო.. შვილი სანამ წამოეზდება, ამათი საჭმელი ხილეულობაა და თაფლი.

3) **შავთავა მელისკუდა მაიმუნი**, Pithecia melanocephala. პატარა, კუდმოკულე მაიმუნია: მას ჯერ ნაკლებათ იცნობენ. ადგილობრივ ხალხი 8—9 ნაირ სახელს ეძახის. თმაც და წვერიც ნაკლებად აქვს; მოკლე კუდიც ბეჭვნიაკლებია.. სცხოვრობს ჩრდილო-დასავლეთ ბრაზილიაში, მდინარე ამაზონკის იქითა მხარეს, უფრო კი მდინარე ახალი გრანადის და ეკვადორის ტყით დაბურულ ნაპირებზე. მხოლოდ ერთხვლ მოახერხეს ამ მაიმუნის ევროპაში მოყვანა.

### მეზუთე გვარი.

#### ხტუნია მაიმუნები

(Calli thrix)

ამერიკაში ღრიალა მაიმუნების შემდეგ ამათი ხმის ძალა ყველა მაიმუნებისას სჭარბობს. აგებულობით კოხტა, მოხდენილი და ხასიათით არიან ძრიელ მოხალისე და მხიარულნი.. უყვართ წყნარი, მყუდრო ადგილები სამხრეთ ამერიკის ტყეებისა. ხორცი ძრიელ გემრიელი აქვთ და ამიტომაც ხშირად ნადირიობენ ამ ლამაზ მაიმუნებზე.

გვარის ულამაზეს წარმომადგენლად შეიძლება დავასახელოდ:



**ქვრივი მაიმუნი,** *Callithrix lugens.* მთლად კუნძულებზე გვხვდება. სილი აქვს მშვენივრად მბზინავ შავი ფერის ბეჭყროვანი კარტუსული ფორმითი პატარაა, სახე მოთეთრო—ლაუვარდ ფერისა აქვს. კისრის წინ ერთი ღიუმის სიგანე თეთრი ზოლი უვლია ყელ-საბამივით. ხელებიც წინ თეთრი ფერისაა. მისიონერები დასკინიან: „მგლოვიარე კეკლუცი ქვრივი გახლავთო მძიმე შავებში თეთრი პირბადით, ყელზე თეთრი ბალდადით და თეთრი ხელთაომანებით კოპტიად მორთულიო“.

### ბექტეს გვარი

#### საიმირები

(*Chrysothrix*)

საიმირების გვარში ყველაზედ უფრო ცნობილია, მთელს ამერიკის მაიმუნებში სილამაზით განთქმული ჭრელი საიმირი, რომელსაც ადგილობრივ გვიანას მკვიდრნი ეძახიან: „აკალი-მა“ ანუ „კაბუანა“ ძრიელ პატარა ცხოველია, სულ 80 სანტიმეტრია კუდიც რომ ჩავთვალოთ, ხოლო კუდი ტანზე თითქმის ორჯერ უგრძელესია,—50 სანტიმეტრით. ყურთუკივით ნაზი ბეჭვი მშვენივრად აქვს შეფერადებული: თავშავია როგორც ნახშირი, ტანი ჩალისფერი, შავის წინწკლებით, და ხელ-ფეხი ოქროს ფერი. იყალიმებს უყვართ მღინარის ნაპირებზე მიღალ ხეებზე ცხოვრება დიდ ხროვებად,—ზოგჯერ ასამდე იკრიბებიან ერთად. ბევრჯერ უნახავთ კაპუცინებთან ერთათ იმათ ხროვაში.

### ბექტეს გვარი

#### ლამის მაიმუნი.

(*Nyctipithecus*)

ბუნების მკვლევართ შორის აზარაშ პირველმა გააცნო მეცნიერებას ეს შესანიშნავი მაიმუნი. შემდეგში აღწერეს და შეისწავლეს: გუმბათლიმა, რენგბერმა, შოშბურგმა და ბოლოს ბეტრშა.


ლამის მაიმუნი იმითიცაა მატად საყურადღებოს, ამითი თავდება ნამდვილი მაიმუნების რაზმი კოუნდარია ე. ი. ნაბოლორაა და მის შემდეგ იწყება ახალი მეორე რაზმი ნახევარმაიმუნებია, რომლებსაც ლამის მაიმუნები ბევრ რიგათ ემსგავსებიან. ნახევარმაიმუნებიც ისე ფხიზლობენ ლამ-ლამობით როგორათაც ეს ლამის მაიმუნები. ეს უკანასკნელნი ერთი შეხედვითაც ადვილი გამოსაცნობნი არიან, ამათ არც თავი უგავთ ზემოდ აღწერილ მაიმუნებს და სახის გამომეტყველებითაც სრულებით განიჩევიან. პატარა მრგვალ თავზე მაშინაოვე შეამჩნევთ დიდრონ თვალებს, რომელნიც ბუს მიუგავს. განიერი დიდი პირისახე არ არის წინ დინგივით წამოსული; ნესტოები ძირს დასკერიან, ყურები პატარაა, გრძელი ტანი შემოსილია რბილ და არაბშირი ბეჭვით. ცოტაოდნათ ფუნჩულა ბეჭვიანი კუდი ტანზე უგრძელესია. ფეხები გვერდებიდან შეტკეცილი და მბრუდეთ მოხრილნი არიან.

ლამის მაიმუნთა გვარის წარმომადგენელად შეიძლება დავასახელოდ:

**მირიკინი** *Nyctipithecus trivirgatus*. ტანით ვ5 სანტიმ. კუდი ტანზე უგრძელესია—50 სანტიმეტრით. ჟენგერი გვარ-წმუნებს. რომ ეს მაიმუნი სკეოვრობს პარაგვაიში (სამხრეთ ამერიკაში) მდინარს მარჯვენა კიდეზე, მარცხნივ-კი არ შეხვდებათ. უყვარს ხეზე ცხოვრება ან თვით ხეში; შებინდდება თუ არა მთელი ლამე თავისთვის საჭმელს დაეძებს, ხოლო რიერაჟისას შეძვრება ხოლმე ისევ ხის ფულუროში და იქ მთელი დღე გაბმულ ძილშია. დღის სინათლეზე სრულებით ვერასა ჰქედვს და თვალის გუგაც ძლივს უჩანს, იმდენად პატარავდება, სამაგიეროდ შელამდება თუ არა თანდათან გუგა უგანიერდება და ბნელ დამეში იქამდე ფართოვდება რომის გარსიც-კი აღარა სჩანს. თან თვალები ისე უბრიალებს და ისე აენთება როგორც კატას ან ბუს.

მირიკინებს ძრიელ განვითარებული აქვთ ყურთა-სმენა. მცირე რამ შრიალსაც-კი წამსვე ყურადღებას აქცევენ.

ერთხელ რენგერის მოსამსახურეს შეშა უნდა მოეტანა ტყიდან. სრულებით შემთხვევით ხის ფულუროში იპოვა ბუ-



დე, რომელშიაც ორ პატარა ცხოველს ეძინა. უკეთეს ბორცვებზე  
შეშინებულებს გამოეღვიძათ და კაცს ხელიდან გაისტლებ,  
მაგრამ მზის სინათლეზე თვალი არ უქრიდათ და ისე უხერა-  
ხულად, გაუბედავად დარბოლნენ ხის ტოტებზე, რომ ბოლოს  
მაინც ამ მოსამსახურემ დაიკირა, თუმცა-კი საშინლად იკი-  
ნებოლნენ.

რენგერმა გასინჯა მათი ბუდე: ფოთლებით იყო დაგე-  
ბული და ზევიდანაც ხის ხავი ეფინა. ეს მეცნიერი გვარ-  
წმუნებს რომ მირიკინები ასე წყვილად განცალკევებული  
სცხოვრობენო.

**ბეტცი** კი წინააღმდეგს ამტკიცებს, მირიკინებს ხროვა-  
თაც უყვართ ცხოვრებაო.

### მეჩამე ოჯახი

#### ჭანგიანი მაიმუნები

Arctopithei.

მაიმუნთა მესამე ოჯახი უმთავრესად იმითი განირჩევა  
ზემოდ დასახელებულთაგან, რომ ფეხის დიდი თითის (ცერი)  
გარდა ყველა თითები შეიარაღებული აქვთ ვიწრო ჭანგებით.  
ხელები უფრო კატის თასს მიუგავთ, არც ცერს შეუძლია  
დანარჩენ თითების ჩამოთვლა (დაპირდაპირება). თავი მრგვა-  
ლი აქვთ, თვალები პატარა და უურები დიდი, კუდი გრძელი  
და მელისკულივით ხშირი და უუნჩედი.

მეტი ნაწილი ამ ცხოველებისა სოხოვრობს ბრაზილიაში,  
გვიანაში და პერუში. უყვართ დიდ დაბურულ ტყეებში ხე-  
ებზედ ცხოვრება. თავის ზნე ხასიათით ჭანგიანი მაიმუნები  
უფრო ციყვებს მოგვაგონებენ. მაიმუნივით ტანის აღმართვა  
არ შეუძლიათ, ოთხფეხზე დარბიან, უმეტესათ ხეებზე ცხოვ-  
რობენ, სხედან და წვანან ხის ტოტებზე, კუდი კი ქვევით  
აქვთ ჩაკიდული. ჭკუით და მოსაზრებითაც ციყვებს არ აღ-  
მატებიან. ყველაფერში ეტყობათ უთავბოლობა, დაუდეგრობა,  
უხასიათობა, მხდალობა, და ჭირშიაც თავის გაუტანელობა.

ჭანგიანი მაიმუნები თუმცა მცენარეულობით იკვებებიან,

მიმღება ხელის მოწვევა 1908 წლისათვის.

უფერდადიური საპოლიტიკო და სალიტერატურო გა-  
ზეთი

# პ ე ბ ი რ პ ნ ი

ზ ა ზ ე თ ი ლ ი რ ს :

ერთის წლით:

თფილისში. 6 მ. 50 კ. თფილისში. 4 მ. — კ.

საზღვარ-გარედ. 7 „ თფილისის გარედ 4 „ 50 „

საზღვარ-გარედ 12 „ — „ საზღვარ-გარედ 6 „ — „

ერთის სთვით:

თფილ სში. — 75 კ. თფილის გარედ — 80 კ. საზღვარ-გარედ  
1 მ. 50 კ.

ცალკე ნოვენი ჰველგან ერთი ზარი.

ფოსტის აღრესი თიფლის, რედაქცია გაზ. „АМИРАНИ“.

მიმღება ხელის მოწერა

**1908 წლის**

**ჯეკილზე**

# ჯეჯილი



საქართველო ნახატებიანი ჟურნალი

(მეთვრამეტე წელიწადი)

მიიღება ხელის მოწერა 1908 წლისათვეს

გამოვა თვეში ერთხელ. უურნალში ორი განყოფილებაა: პატარებისათვის და მოზრდილ ყმიწვილებისათვის. თითო წიგნში იქნება არა ნაკლებ ოთხამდე ფურცელი, ანუ 64 გვერდი.

## შ უ ჩ ნ ა ლ ი „ ჯ ე ჯ ი ლ ი “

თბილისში ეღირება 4 მან. ქალაქ გარეთ გაგზავნით 5 მ.

ნახევრი წლით . . . 2 „ ცალკე ნომერი . . . . —40 კ.

ქალაქ გარეშე მცხოვრებლებს შეეძლიან მიმართონ ძუთაისზი ნილ. მღვდლიერისას და წიგნის მაღაზიას „კოლხიდა“. გათუმაში წიგნის მაღაზიას „მეგობარი“, ღზურგეთში წიგ. მაღ. „იმედი“, დაბა ხონეშვი მასწ. გ. ბოკერიას, ახალსენაკში წიგ. მაღ. „სინათლე“, საგარეზიანი გ. ფოცხვერიას, ზვირილაში წიგ. მაღ. ალ. გაჩეჩილაძეს, ბართვი ქართ. თეატრში ი. თედეშვილს, ჭიათურაში კ. მოსეშვილს.

თბილისში ხელის მოწერა მიიღება: წერა-კითხვის საზკანცელარიაში და თვით „ჯეჯილის“ რედაქციაში: არტილერიის ქუჩა, № 5, კადეტის კორპუსის გვერდით.

ფოსტის აღრესი: Въ Тифлисъ, въ ред. Грузинского дѣтскаго журнала „Джеджили“.

„ჯეჯილის“ სრული 16 წლის გამოცემა (რომელიც შეადგენს 140 წიგნზე მეტს), ეღირება გაგზავნით სხვადასხვა ქალაქებში 30 მ. თბილისში სასწავლებლებს, რომელნიც რედაქციიდან თითონვე წააღებინებენ, დაეთმობათ 25 მ. ცალკე წლების „ჯეჯილები“ თითო წლისა ეღირება 2 მ.

რედ.-გამომცემელი ან. თუმანიშვილი-წერეთლისა.